პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 36-ე წელი № 263 (10349) | შაბათი, 5 ნოემბერი, 1955 წ. | ფასი 20 კაპ.

საჯარო ბიბლიოთეკა

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარულ საგარეო პოლიტიკას — მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცების ურყევ პოლიტიკას, საერთაშორისო თანამშრომლობისა და ყველა ქვეყანასთან ეკონომიური და კულტურული ურთიერთ-ერთკავშირის განვითარების პოლიტიკას!

(სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწოდებებიდან დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 38-ე წლისთავისათვის).

სოფლის მეურნეობის ყველა დარგის მძლავრი აღმავლობისათვის

ჩვენი სახელოვანი კოლმეურნეები გლეხობა გმირ მუშათა კლასთან და საბჭოთა სახალხო ინტელიგენციასთან ერთად ახალი წარმატებებით ეგებება ბრწყინვალე დღესასწაულს — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 38-ე წლისთავს. დიდი პოლიტიკური და საწარმოო აღმავლობის პირობებში აღინიშნება ეს დღეები საკოლმეურნეო სოფელში. ყველგან — ბრიგადებში, პლანტაციებში, მეცხოველეობის ფერმებსა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების სახელოსნოებში ქმნიან შემოქმედებითი შრომა. ფართოდ არის გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრება სკკპ XX ყრილობის აღსანიშნავად.

კომუნისტური პარტია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს სოფლის მეურნეობის საკითხებს. სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობის მიუღწევლად არ შეიძლება გადაწყდეს მსუბუქი და კვების მრეწველობის შემდგომი განუხრელი განვითარების ამოცანა.

წლევანდელ წელიწადს თვალსაჩინო ადგილი უკავია სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის საყოველთაო-სახალხო ხრძოლის ისტორიაში. კოლმეურნეებმა, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების მუშაკებმა, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებმა, აღფრთოვანებულებმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრისა და ივლისის პლენუმების ისტორიული გადაწყვეტილებებით, პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით ახალი წარმატებები მოიპოვეს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების გადიდების საქმეში.

საქართველოს კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ვადამდე და გადაჭარბებით შეასრულეს დავალება პურის, ჩაის ხარისხოვანი ფოთლის, ხბრეშუმის პარკის დამზადების დარგში. გაწეულია სერიოზული მუშაობა პირუტყვისათვის მტკიცე საკვები ბაზის შესაქმნელად.

რესპუბლიკურ პრესაში ყოველდღიურად ქვეყნდება მასალები ცალკეული რაიონების მიერ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა გეგმების შესრულების, პირუტყვისათვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნის, მომავალი წლის მაღალი მოსავლისათვის საფუძვლის ჩაყრისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების გეგმების ვადამდე შესრულების შესახებ.

პარტია გვასწავლის არ მივეცეთ თვითკმაყოფილებასა და თვითდამშვიდებას, არამედ განუხრელად ვიაროთ წინ მორიგ წარმატებათა მოსაპოვებლად. სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობის მისაღწევად ჯერ კიდევ ბევრი საკითხია გადასაჭრელი, ბევრი სამუშაოა შესასრულებელი. აღმოფხვრილი არ არის ნაკლოვანებანი აგრონომიულ, ზოოტექნიკურ ღონისძიებათა განხორციელებაში, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გამოყენების საქმეში. ეს სოფლის მეურნეობის თვითეული მუშაკისაგან მოითხოვს მაღალ შრომითს დაძაბულობას.

საქართველოს მშრომელებმა საბჭოთა კავშირის ხალხებთან ერთად სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწოდებები დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 38-ე წლისთავისათვის მიიღეს როგორც სამრძოლო პროგრამა. განსაკუთრებული ძალით გაისმის პარტიის საოქტომბრო მოწოდება:

— სოფლის მეურნეობის მუშაკებო! იბრძოლეთ სოციალისტური სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყველა დარგის მძლავრი აღმავლობისათვის! უკეთ გამოიყენეთ მიწის სავარგულები და კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში არსებული რეზერვები! მივცეთ ჩვენს ქვეყანას მეტი მარცვლეული, ხორცი, რძე, მატყლი და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები!

ჩვენი რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა, მტს-ებმა წელს სერიოზული მუშაობა გასწიეს სიმინდის ნათესების გაფართოებისა და მოსავლიანობის ასამაღლებლად. მაგრამ საქართველოში სიმინდის მოსავლიანობის მნიშვნელოვნად გადიდების დიდი რეზერვი მოიპოვება. ამოცანა ის არის, რომ მთლიანად გამოვიყენოთ ეს რეზერვები და ყოველი ღონისძიებით გავაფართოოთ სიმინდის — მარცვლეულის წარმოების მკვეთრი გადიდებისა და მეცხოველეობის მტკიცე საკვები ბაზის შექმნის ამ უმნიშვნელოვანესი წყაროს — ნათესები და მისი მოსავლიანობა.

სოფლის მეურნეობის ყველა დარგის მკვეთრი აღმავლობის მისაღწევად აუცილებელია სოფლად შრომის ნაყოფიერების ამაღლება. რაც უფრო მაღალია შრომის ნაყოფიერება, მით უფრო ძლიერია კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობა. კოლმეურნეთა ღირსებისა და სახელის საქმეა განუწყვეტლივ ზარდონ შრომის ნაყოფიერება და განამტკიცონ შრომის დისციპლინა, უზრუნველყონ კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობის შემდგომი განვითარება და შემოსავლის ზრდა.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ყველა ღონისძიებას მიმართავენ იმისათვის, რომ უახლოეს წლებში მნიშვნელოვნად გაადიდონ მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება. მეცხოველეებს ახლა გაცხარებული სამუშაო აქვთ. ზამთარი კარს მოგვადგა. მალე პირუტყვს ბაგურ კვებაზე გადაიყვანენ. საჭიროა პირუტყვისათვის სხვადასხვა სახის საკვების მარაგის შექმნა, სადგომების მშენებლობისა და რემონტის სწრაფად დამთავრება და მათი მაქსიმალური მექანიზაცია. ამასთან ჩვენს ხელთ არსებული მასალები მოწმობენ, რომ ამ საქმეში სერიოზული ნაკლოვანებებია. ქარელის, ბორჯომის და სხვა რაიონების ზოგიერთ კოლმეურნეობაში ჭიანურდება სადგომების მომზადება ზამთრისათვის, საკვების მიზიდვა მეცხოველეობის ფერმებთან. საკვების დასილოსება ჩამორჩა გარეუბნის, ხაშურის და თელავის რაიონებში. სოფლის მეურნეობის მშრომელებმა პირუტყვის საუკეთესო გამოზამთრებისათვის მომზადებით უნდა უპასუხონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის საბრძოლო მოწოდებას.

სოფლის მეურნეობის ახალი მძლავრი აღმავლობის აუცილებელი პირობაა ტექნიკის სრულად გამოყენება, სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში კომპლექსური მექანიზაციის დანერგვა. მტს-ი გადამწყვეტი ძალაა სოფლის მეურნეობის განვითარებაში. სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდების საქმეში განსაკუთრებით მაღალ პასუხისმგებლობას პარტია აკისრებს მტს-ების მუშაკებს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი მოუწოდებს სოფლის მეურნეობის მუშაკებს გაადიდონ ტექნიკური კულტურების, ბოსტნეულისა და კარტოფილის წარმოება. ამოცანა ის არის, რომ სწრაფად დავამთავროთ კარტოფილის ამოღება. წელს კასპის, წალკის რაიონების მთელმა რიგმა კოლმეურნეობებმა კომბოსტოს უხვი მოსავალი მოიყვანეს. გადაუდებელი ამოცანაა უდანაკარგოდ ავიღოთ ბოსტნეულის მოსავალი.

სასიხარულოა ის, რომ სუბტროპიკულ რაიონებში წელს ციტრუსების უხვი მოსავალია. მალე ციტრუსოვანთა ნაყოფის კრეფა მასობრივად გაჩაღდება. პარტიული, საბჭოთა და დამამზადებელი ორგანიზაციების ვალია უზრუნველყონ ციტრუსების დროული კრეფა, გადამუშავება და დანიშნულებისამებრ გადაგზავნა.

საქართველოს სოციალისტური სოფლის მშრომელები თავიანთ ძალასა და ენერგიას არ დაიშურებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის საოქტომბრო მოწოდებების პასუხად ნაკისრ ვალდებულებათა შესასრულებლად, ღირსეულად შეხვდებიან მშობლიური კომუნისტური პარტიის XX ყრილობას და კიდევ უფრო გააძლიერებენ თავიანთ წვლილს კომუნიზმის მშენებლობის საქმეში.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. დ. ტ. შეპილოვის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. დ. ტ. შეპილოვის დაბადების ორმოცდაათი წლისთავთან დაკავშირებით და კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე მისი დამსახურების აღსანიშნავად ამხ. დიმიტრი ტროფიმეს-ძე შეპილოვი დაჯილდოდეს ლენინის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ვოროშილოვი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. პეგოვი.

მოსკოვი, კრემლი. 1955 წლის 4 ნოემბერი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ბულგანინისა და ბირმის კავშირის პრემიერ-მინისტრის უ ნუს ერთობლივი განცხადება

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობის მოწვევით ბირმის კავშირის პრემიერ-მინისტრი უ ნუ კეთილი ნების ვიზიტით ეწვია საბჭოთა კავშირს. სსრ კავშირში ყოფნის პერიოდში პრემიერ-მინისტრ უ ნუს მთელი რიგი საუბრები ჰქონდა ნ. ა. ბულგანინთან, კ. ე. ვოროშილოვთან, ლ. მ. კაგანოვიჩთან, ა. ი. მიქოიანთან, ვ. მ. მოლოტოვთან, მ. ზ. საბუროვთან და ნ. ს. ხრუშჩოვთან. ამ საუბრების მსვლელობაში, რომლებიც მეგობრულ და გულითად ატმოსფეროში მიმდინარეობდა, მოხდა აზრთა ფართო ურთიერთგაზიარება საკითხებზე, რომლებიც ურთიერთ ინტერესს წარმოადგენენ ორივე მხარისათვის, აგრეთვე განხილულ იქნა ზოგიერთი საერთაშორისო პრობლემა.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე და ბირმის კავშირის პრემიერ-მინისტრი აღნიშნავენ, რომ მთელ მსოფლიოში მშვიდობისმოყვარე ხალხთა ნაყოფიერი მოღვაწეობის შედეგად ამ ბოლო დროს რამდენადმე შენელდა საერთაშორისო დაძაბულობა და გაძლიერდა მისწრაფება — მოლაპარაკებისა და შეთანხმებათა გზით გადაიჭრას მომწიფებული საერთაშორისო პრობლემები. დაძაბულობის ასეთ შენელებას ხელი შეუწყო უწინარეს ყოვლისა ომის შეწყვეტამ კორეაში და საომარი მოქმედების შეწყვეტამ ინდოჩინეთში; ავსტრიასთან სახელმწიფო ხელშეკრულების დადებამ; სსრ კავშირსა და იუგოსლავიას შორის ურთიერთობის ნორმალიზაციამ, რამაც გზა გაუხსნა მეგობრობისა და თანამშრომლობის განვითარებას ორივე ქვეყანას შორის; ინდოეთის პრემიერ-მინისტრის ჯ. ნერუს ვიზიტმა საბჭოთა კავშირში, რის შედეგად კიდევ უფრო განმტკიცდა სსრ კავშირისა და ინდოეთის მეგობრული ურთიერთობა.

საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აზიისა და აფრიკის ქვეყნების კონფერენციას, რომელიც გაიმართა ბანდუნგში მიმდინარე წლის აპრილში. იგი იყო პირველი ამგვარი კონფერენცია, რომელზეც სხვადასხვა პოლიტიკური და სოციალური სისტემის მქონე სახელმწიფოთა წარმომადგენლები შეხვდნენ ერთმანეთს საერთო მიზნის მისაღწევად — უფრო სრული ეკონომიური, კულტურული და პოლიტიკური თანამშრომლობის განსავითარებლად. კონფერენციამ გამოხატა აზიისა და აფრიკის ხალხთა განუხრელი მისწრაფება — მიაღწიონ მშვიდობას, ეროვნულ დამოუკიდებლობას, პროგრესს ეკონომიკის, კულტურისა და სოციალური ცხოვრების დარგში.

ყოველივე ამან ხელსაყრელი ვითარება შექმნა იმისათვის, რომ წარმატებით დამთავრებულიყო ოთხი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურების ჟენევის თათბირი, რომელმაც დიდმნიშვნელოვანი როლი შეასრულა სახელმწიფოთა ურთიერთობის დაძაბულობის შემდგომი შენელების საქმეში. მთავრობათა მეთაურების ჟენევის თათბირმა ცხადყო, რომ ჩვენს დროში საერთაშორისო თანამშრომლობა მშვიდობის ინტერესებისათვის სავსებით შესაძლებელია. სახელმწიფოებს შორის ნდობის დამყარება რეალური მიზანია, რომლის მიღწევა შესაძლებელია.

მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე და პრემიერ-მინისტრი ამ ეტაპზე ამ ამოცანებს ეძღვნებოდა, რომ საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირი, რომელიც ამჟამად მიმდინარეობს ჟენევაში, გააკეთებს ყველაფერს, რაც საჭიროა იმისათვის, რომ მიაღწიოს შეთანხმებულ გადაწყვეტილებებს ყველა საკითხზე, რომლებიც დასახულია ოთხი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურების დირექტივებით.

ამჟამად ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო პრობლემა განიარაღების პრობლემაა. გამალებული შეიარაღება და განსაკუთრებით ატომური, წყალბადისა და მასობრივი მოსპობის სხვა სახეობათა იარაღის დაგროვება წლითიწლობით სულ უფრო ფართო მასშტაბით წარმოებს, იწვევს ხალხთა შეშფოთებას მშვიდობის ბედის გამო, თავიანთი მომავლის გამო. როგორც ჩვეულებრივი ტიპის, ისე აგრეთვე ატომური შეიარაღების ზრდა იწვევს ეროვნული რესურსების უნაყოფოდ ხარჯვას, რომელთა გამოყენება, გამალებული შეიარაღების შეწყვეტის შედეგად, შეიძლებოდა ხალხთა კეთილდღეობის გაუმჯობესების ინტერესებისათვის.

მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს და პრემიერ-მინისტრს მიაჩნიათ, რომ ატომგულისა და თერმოატომგულის იარაღის წარმოება, გამოცდა და გამოყენება უთუოდ უნდა აიკრძალოს. საჭიროა აგრეთვე განხორციელდეს ჩვეულებრივი ტიპის შეიარაღების საყოველთაო მნიშვნელოვანი შემცირება. ამავე დროს უნდა დაწესდეს ქმედითი საერთაშორისო კონტროლი ასეთი აკრძალვისა და განიარაღების განხორციელებისადმი. ამასთან დაკავშირებით წინადადებანი შეიარაღების საყოველთაო შემცირების, ატომური იარაღის აკრძალვისა და ახალი ომის საფრთხის თავიდან აცილების შესახებ მიჩნეულია როგორც რეალური საფუძველი ამ საკითხზე შეთანხმების მიღწევისათვის.

მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე და პრემიერ-მინისტრი ერთსულოვნად გმობენ ბლოკების შეკოწიწების პოლიტიკას და მიაჩნიათ, რომ ბლოკებში არშესვლის პოლიტიკა უზრუნველყოფს ხალხების უშიშროებას და ასრულებს დადებითს როლს მთელ მსოფლიოში მშვიდობის დამყარების საქმეში.

მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს და პრემიერ-მინისტრს მიაჩნიათ, რომ ამჟამად განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს აზიისა და შორეული აღმოსავლეთის პრობლემებს. უნდა გადაწყდეს ჩინელი ხალხისათვის ტაივანისა და მთელი რიგი სხვა კუნძულების დაბრუნების საკითხი, რომლებიც ჩინეთის ძველთაძველ ტერიტორიას წარმოადგენენ. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისათვის იმ ადგილის მიცემა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, რომელიც მას სამართლიანად ეკუთვნის, განამტკიცებდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ავტორიტეტსა და მნიშვნელობას, გააძლიერებდა მის როლს საერთაშორისო ცხოვრებაში და ხელს შეუწყობდა შორეულ აღმოსავლეთში ჯერ კიდევ არსებული დაძაბულობის შენელებას.

დაუყოვნებლივ უნდა გადაიჭრას ინდოჩინეთში პოლიტიკური მოწესრიგების პრობლემები ჟენევის კონფერენციის 1954 წლის გადაწყვეტილებათა შესაბამისად. ყველა ეს საკითხი, აგრეთვე აზიისა და შორეული აღმოსავლეთის სხვა პრობლემები შეიძლება გადაიჭრას და კიდევაც უნდა გადაიჭრას მშვიდობიანი საშუალებებით, მოლაპარაკების გზით.

მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე და პრემიერ-მინისტრი დიდი კმაყოფილებით აღნიშნავენ, რომ საბჭოთა კავშირისა და ბირმის ურთიერთობა ყოველთვის გულწრფელი და მეგობრული იყო, რაც სავსებით შეესაბამება ბირმისა და სსრ კავშირის ხალხთა ინტერესებს და ხელს უწყობს საყოველთაო მშვიდობის განმტკიცებას. ეს ურთიერთობა ემყარება და კვლავაც დაემყარება ურყევ პრინციპებს: ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის ურთიერთპატივისცემის, თავდაუსხმელობის, ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობის, თანასწორობისა და ურთიერთსარგებლობის, მშვიდობიანი თანაარსებობისა და ეკონომიური თანამშრომლობის პრინციპებს.

ეს პრინციპები, რომლებიც ბევრმა საბჭოთა სახელმწიფომ და ხალხმა აღიარა, მიზნად ისახავენ მშვიდობის განმტკიცებასა და ხალხთა თანამშრომლობის განვითარებას.

მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე და პრემიერ-მინისტრი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ იმას, რომ როგორც დიდი, ისე პატარა სახელმწიფოების ურთიერთობა ამ პრინციპებს ემყარებოდეს.

მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს და პრემიერ-მინისტრს მიაჩნიათ, რომ მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპები, რომლებიც გამოთქმულია ამ განცხადებით, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და ბირმის კავშირის ეკონომიური და კულტურული თანამშრომლობის განვითარების დიდ შესაძლებლობას ქმნიან. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე და პრემიერ-მინისტრი რწმენას გამოთქვამენ, რომ სსრ კავშირსა და ბირმას შორის სავაჭრო შეთანხმების დადება, რაც ამ რამდენიმე ხნის წინათ მოხდა, მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საბჭოთა კავშირისა და ბირმის კავშირის ეკონომიური ურთიერთობის შემდგომ განვითარებას, აგრეთვე მათი კულტურული და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის გაფართოებას.

მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე და პრემიერ-მინისტრი აცხადებენ, რომ მზად არიან ყოველი ღონე იხმარონ სსრ კავშირისა და ბირმის მეგობრობის შემდგომი განმტკიცებისათვის, მათი უაღრესად მჭიდრო ურთიერთობის განვითარებისათვის.

მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე და პრემიერ-მინისტრი კმაყოფილებას გამოთქვამენ, რომ მათ შორის დამყარდა პირადი კონტაქტი, და მიაჩნიათ, რომ აზრთა გაზიარება იმ საკითხებზე, რომლებიც ორივე ქვეყნისათვის ურთიერთ ინტერესს წარმოადგენენ, ხელს შეუწყობს მთელ მსოფლიოში მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცებას.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ბულგანინი.

ბირმის კავშირის პრემიერ-მინისტრი უ ნუ.

მოსკოვი, 1955 წლის 3 ნოემბერი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ბულგანინისა და ბირმის კავშირის პრემიერ-მინისტრის უ ნუს ერთობლივი განცხადების ხელმოწერა

3 ნოემბერს კრემლის დიდ სასახლეში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ა. ბულგანინმა და ბირმის კავშირის პრემიერ-მინისტრმა უ ნუმ ხელი მოაწერეს ერთობლივ განცხადებას.

საღამოს 6 საათსა და 45 წუთზე მაგიდასთან, რომელზეც დევს ერთობლივი განცხადების ტექსტები, მიდიან სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ა. ბულგანინი და ბირმის კავშირის პრემიერ-მინისტრი უ ნუ. ისინი ხელს აწერენ განცხადების ტექსტს, მაგრად ართმევენ ერთმანეთს ხელს.

განცხადების ხელმოწერას საბჭოთა კავშირის მხრივ დაესწრნენ: ლ. მ. კაგანოვიჩი, გ. მ. მალენკოვი, ა. ი. მიქოიანი, მ. გ. პერვუხინი, მ. ზ. საბუროვი, ნ. ს. ხრუშჩოვი, ა. ბ. არისტოვი, პ. ნ. პოსპელოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ა. ნ. კოსიგინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეები ვ. ა. ზორინი და ნ. ტ. ფედორენკო, სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ბირმაში ა. დ. შჩიბორინი და სხვები.

ბირმის მხრივ დაესწრნენ: ბირმის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში უ მონგ ონი, ბირმის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში უ ხლა მაუნგი, ბირმის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ტუ მონგ ბა, ბირმელ ჟურნალისტთა ჯგუფი.

დაესწრნენ აგრეთვე საბჭოთა და უცხოეთის პრესის წარმომადგენლები. (საკდესი).

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ა. ბულგანინმა სადილი გამართა ბირმის კავშირის პრემიერ-მინისტრის უ ნუს პატივსაცემად

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ა. ბულგანინმა 3 ნოემბერს კრემლის დიდ სასახლეში სადილი გამართა ბირმის კავშირის პრემიერ-მინისტრის უ ნუს პატივსაცემად.

ბირმის მხრივ სადილზე იყვნენ პრემიერ-მინისტრი უ ნუ, მისი მეუღლე დო მია ი, ბირმის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში უ მონგ ონი, პრემიერ-მინისტრის თანმხლები პირები: ბირმის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში უ ხლა მაუნგი, ბირმის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი დიდ ბრიტანეთში უ ჩინი და მისი მეუღლე ქ-ნი ჩინი, პრემიერ-მინისტრის მდივანი უ ტანი, პოლკოვნიკი აუნგ ჯი, უ ხლა და უ ნვე, აგრეთვე ბირმის კავშირის მომარაგების მინისტრი ბო მინ გაუნგი, რიმელიც მეთაურობს სსრ კავშირში ჩამოსულ ბირმის მთავრობის შემსყიდველ მისიას.

საბჭოთა კავშირის მხრივ სადილზე იყვნენ: კ. ე. ვოროშილოვი, ლ. მ. კაგანოვიჩი, გ. მ. მალენკოვი, ა. ი. მიქოიანი, მ. გ. პერვუხინი, მ. ზ. საბუროვი, ნ. ს. ხრუშჩოვი, ა. ბ. არისტოვი, პ. ნ. პოსპელოვი, დ. ტ. შეპილოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ა. პ. ზავენიაგინი, ა. ნ. კოსიგინი, ვ. ა. კუჩერენკო, პ. პ. ლობანოვი, ი. თ. თევოსიანი, მ. ვ. ხრუნიჩევი, რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. მ. პუზანოვი, სსრ კავშირის უმაღლესი განათლების მინისტრი ვ. პ. ელიუტინი, საგარეო ვაჭრობის მინისტრი ი. გ. კაბანოვი, სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი მ. დ. კოვრიგინა, სსრ კავშირის კულტურის მინისტრი ნ. ა. მიხაილოვი, ეკონომიური ურთიერთობის საქმეთა მთავარი სამმართველოს უფროსი კ. ი. კოვალი, საბჭოთა კავშირის მარშალი ი. ქ. ბაგრამიანი, ავიაციის მთავარი მარშალი პ. თ. ჟიგარიოვი, არმიის გენერალი ი. ა. სეროვი, საკდესის პასუხისმგებელი ხელმძღვანელი ნ. გ. პალგუნოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეები ვ. ა. ზორინი და ნ. ტ. ფედორენკო, საგარეო ვაჭრობის მინისტრის მოადგილე მ. რ. კუზმინი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანი ე. ა. ფურცევა, მოსკოვის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე მ. ა. ვასნოვი, სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ბირმაში ა. დ. შჩიბორინი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ა. ნ. ნესმეიანოვი, საბჭოთა ქალების ანტიფაშისტური კომიტეტის თავმჯდომარე ნ. ვ. პოპოვა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის განყოფილების გამგე ბ. მ. ვოლკოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ოქმის უფროსი ე. ა. ტარაბრინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგე თ. თ. მოლოჩკოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პასუხისმგებელი თანამშრომელი ნ. პ. ციგიჩკო.

სადილის დროს სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს.

სადილმა მეგობრულ, გულითად ვითარებაში ჩაიარა. (საკდესი).

მოსკოვიდან გაემგზავრა ბირმის კავშირის პრემიერ-მინისტრი უ ნუ

სსრ კავშირში ორ კვირას ყოფნის შემდეგ 4 ნოემბერს მოსკოვიდან ჰელსინკში გაემგზავრა ბირმის კავშირის პრემიერ-მინისტრი უ ნუ, რომელიც საბჭოთა ქვეყანაში ჩამოვიდა კეთილი ნების ვიზიტით. მასთან ერთად გაემგზავრნენ მისი მეუღლე დო მია ი და სხვა პირები, რომლებიც პრემიერ-მინისტრს ახლავან.

ცენტრალური აეროდრომი მორთულია ბირმის კავშირისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმებით. პრემიერ-მინისტრ უ ნუს გასაცილებლად მოვიდნენ ნ. ა. ბულგანინი, ლ. მ. კაგანოვიჩი, გ. მ. მალენკოვი, ა. ი. მიკოიანი, მ. გ. პერვუხინი, მ. ზ. საბუროვი, ა. ბ. არისტოვი, პ. ნ. პოსპელოვი, დ. ტ. შეპილოვი, რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. მ. პუზანოვი, სსრ კავშირის მინისტრები პ. ი. ანტროპოვი, კ. პ. გორშენინი, მ. ა. ევსეევკო, ვ. პ. ელიუტინი, ვ. გ. ჟავორონკოვი, ვ. პ. ზოტოვი, ი. გ. კაბანოვი, მ. დ. კოზლოვი, ლ. რ. კორნიეცი, ფ. გ. ლოგინოვი, ნ. ნ. მირონოვი, ნ. ა. მიხაილოვი, გ. მ. ორლოვი, პ. ი. პარშინი, კ. დ. პეტუხოვი, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარე ნ. კ. ბაიბაკოვი, ეკონომიური ურთიერთობის საქმეთა მთავარი სამმართველოს უფროსი კ. ი. კოვალი, საბჭოთა კავშირის მარშალი ი. ქ. ბაგრამიანი, ავიაციის მთავარი მარშალი პ. ფ. ჟიგარიოვი, არმიის გენერალი ი. ა. სეროვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეები ვ. ა. ზორინი და ნ. ტ. ფედორენკო, მოსკოვის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე მ. ა. იასნოვი, საბჭოთა ქალების ანტიფაშისტური კომიტეტის თავმჯდომარე ნ. ვ. პოპოვა, სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ბირმაში ა. დ. ზჩიბორინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის განყოფილების გამგე ბ. მ. ვოლკოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ოქმის უფროსი ე. ა. ტარასბრინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგე თ. თ. მოლოჩკოვი, ქალაქ მოსკოვის კომენდანტი გენერალ-მაიორი ი. ს. კოლესნიკოვი.

პრემიერ-მინისტრი უ ნუ გააცილეს აგრეთვე საბჭოთა კავშირის დედაქალაქის მშრომელებმა, საბჭოთა და უცხოელმა ჟურნალისტებმა, ბირმელმა ჟურნალისტებმა, რომლებიც სსრ კავშირში სტუმრად არიან.

აეროდრომზე იყვნენ სსრ კავშირში ბირმის საელჩოს თანამშრომლები საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის უ მონგ ონის მეთაურობით, დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები, რომლებიც აკრედიტებული არიან მოსკოვში, წევრები ბირმის მთავრობის შემსყიდველი მისიისა, რომელსაც მეთაურობს მომარაგების მინისტრი ბო მინ გაუნგი.

პრემიერ-მინისტრი უ ნუ გააცილეს აგრეთვე სსრ კავშირში მისი მგზავრობის დროს თანმხლებმა ბირმის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში უ ხლა მაუნგმა, ბირმის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა დიდ ბრიტანეთში უ ჩინმა და მისმა მეუღლემ ქ-ნმა ჩინმა.

უ ნუს გასაცილებლად ჩამწკრივებული იყო საპატიო ყარაული, შესრულებულ იქნა ბირმის კავშირისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ჰიმნები.

...ბირმის მთავრობის მეთაური ითხოვება საბჭოთა კავშირის სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეებს, მოსკოვის მშრომელებს, დიპლომატიური კორპუსის წევრებს.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ა. ბულგანინი მიკროფონთან მიდის და შემდეგ სიტყვას ამბობს:

ნ. ა. ბულგანინის სიტყვა

ბატონო პრემიერ-მინისტრო!

ახლა, როცა თქვენ და თქვენი თანამგზავრები მოსკოვს ტოვებთ, საბჭოთა მთავრობის სახელით ერთხელ კიდევ მსურს გამოვთქვა დიდი კმაყოფილება, რომელიც თქვენ მოგვანიჭეთ ჩვენს ქვეყანაში თქვენი ყოფნით.

თქვენი კეთილი ნების ვიზიტი, ბატონო პრემიერ-მინისტრო, ცხადყოფს, რომ, თუმცა ჩვენი ქვეყნები ძალიან შორს მდებარეობენ ერთმანეთისაგან, ჩვენ შორის არათუ შესაძლებელია, არამედ უკვე საქმით ხორციელდება მეგობრული ურთიერთობა და მჭიდრო თანამშრომლობა საერთაშორისო ცხოვრების მთელ რიგ დიდმნიშვნელოვან საკითხებში. მე მსურს განსაკუთრებით ხაზგასმით აღვნიშნო, რომ საბჭოთა კავშირისა და ბირმის ურთიერთობა არის თანასწორუფლებიანი და სუვერენული ქვეყნების ურთიერთობა, რომლებიც იჩენენ ურთიერთ პატივისცემას და დაინტერესებული არიან მშვიდობის შენარჩუნებით და ყველა ხალხის უშიშროების უზრუნველყოფით.

ეჭვი არ არის, რომ საბჭოთა კავშირში თქვენი ყოფნის შემდეგ ჩვენი ქვეყნების ურთიერთგაგება უფრო გაძლიერდება, ხოლო ეკონომიური და კულტურული თანამშრომლობა შემდგომ განვითარდება. ჩვენი მისწრაფება ამისადმი გამოიხატა დღეს გამოქვეყნებული ერთობლივი განცხადებით, რომელიც წარმოადგენს ჩვენი საუბრებისა და შეხვედრების შედეგს, რომლებიც მეგობრულ და გულითად ატმოსფეროში მიმდინარეობდნენ.

სსრ კავშირში მოგზაურობის დროს თქვენ, ბატონო პრემიერ-მინისტრო, საშუალება გქონდათ გაცნობოდით ამას, თუ როგორ ცხოვრობენ და შრომობენ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა რესპუბლიკის საბჭოთა ადამიანები. ჩვენ ძალიან ვწუხვართ, რომ დროის ნაკლებობამ საშუალება არ მოგცათ გენახათ საბჭოთა კავშირის სხვა ადგილები, სადაც თქვენ ასეთსავე გულითად მიღებას შეხვდებოდით. ჩვენ ყველას გულში ჩაგვწვდა და გაგვახარა საბჭოთა ხალხისადმი სიმპათიისა და მეგობრობის იმ გრძნობებმა, რომლებიც თქვენ არაერთხელ გამოთქვით თქვენი მოგზაურობის დროს.

მოხარული ვარ, რომ პირად კონტაქტს, რომელიც ჩვენ დავამყარეთ მოსკოვში, რამდენიმე ხნის შემდეგ განვაგრძობთ მე, ამბ. ნ. ს. ხრუშჩოვი და თქვენ თქვენი ქვეყნის ფარგლებში.

ჩვენ ყველანი გისურვებთ თქვენ, ბატონო პრემიერ-მინისტრო, და თქვენს თანამგზავრებს შემდგომ წარმატებით მოგზაურობას და სამშობლოში მშვიდობით ჩასვლას.

საბჭოთა მთავრობის სახელით, ჩვენი ხალხის სახელით გთხოვთ გადასცეთ ბირმის ხალხებს მეგობრული სალამი და სურვილი შრომაში წარმატებებისა თავიანთი სახელმწიფოს საკეთილდღეოდ.

გზა მშვიდობისა, ბატონო პრემიერ-მინისტრო!

მალე ნახვამდის!

• • •

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა ბირმის პრემიერ-მინისტრმა უ ნუმ.

პრემიერ-მინისტრ უ ნუს სიტყვა

— ჩემი გული აღსავსეა მადლობით იმ აღფრთოვანებული და განსაკუთრებით გულთბილი მიღებისათვის, რომელიც მე, ჩემს მეუღლესა და ჩემი მისიის წევრებს გაუწიეს საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელებმა და ხალხებმა ყველგან, სადაც კი ვიყავით. მართლაც, ჩვენ გავიარეთ მრავალი ათასი მილი ამ დიდ ქვეყანაში და ვიყავით რამდენიმე რესპუბლიკაში. მიუხედავად ძალიან დაძაბული პროგრამისა, ჩვენ, მთელი მგზავრობის მანძილზე, გვამხნევებდა გულთბილი დამოკიდებულებისა და სიხარულის გრძნობა რაც ჩვენს მიმართ გამოიჩინეს საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელებმა და ხალხებმა.

მე ვგრძნობ, რომ საბჭოთა ხალხს ჩვენ მივაჩნივართ მეგობრებზე უფრო მეტად, მას მივაჩნივართ ძვირფას ნათესავებად, და იმ განწყობილებამ და კეთილმოსურნეობამ, რომელიც ჩვენს მიმართ გამოიჩინეთ, გადააჭარბა ჩვენს საუკეთესო მოლოდინს. ყველგან გამოთქვამდნენ გულწრფელ სინანულს, რომ ჩვენი ყოფნა ძალიან ხანმოკლე იყო.

სამუდამოდ დამრჩება ბედნიერი მოგონება ამ სტუმართმოყვარე ქვეყანაში ჩემი ძალიან სასიამოვნო ყოფნის შესახებ, და ნება მიბოძეთ დაგარწმუნოთ, რომ მუდამ ყოველ ღონეს ვიხმარ ჩვენი ორი ქვეყნის მეგობრული ურთიერთობის განმტკიცებისათვის.

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირ-ბირმის მეგობრობას!

გაუმარჯოს მშვიდობას მთელ მსოფლიოში!

• • •

... ბირმელი სტუმრები, საბჭოთა მთავრობისა და კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელები მიემართებიან თვითმფრინავისაკენ. პიონერებმა ბირმის წარმომადგენლებს ყვავილების თაიგულები მიართვეს. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ა. ბულგანინი მეგობრულად ართმევს ხელს პრემიერ-მინისტრ უ ნუს, ემშვიდობება მის მეუღლეს და უ ნუს თანმხლებ პირებს. სხვა გამცილებლებიც ემშვიდობებიან მიმავალთ.

თვითმფრინავი ასაფრენ მოედანზე გავიდა და ჰაერში აფრინდა. (საკდესი).

ბირმის პრემიერ-მინისტრ უ ნუს პრეს-კონფერენცია

3 ნოემბერს 100-ზე მეტი საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტის თანდასწრებით გაიმართა ბირმის კავშირის პრემიერ-მინისტრს უ ნუს პრეს-კონფერენცია, რომელზეც პრემიერ-მინისტრმა უ ნუმ პასუხი გასცა მიღებულ მრავალ კითხვაზე.

ილაპარაკა რა საბჭოთა კავშირში მოგზაურობისას მიღებულ შთაბეჭდილებებზე, პრემიერ-მინისტრმა უ ნუმ განსაკუთრებით აღნიშნა საბჭოთა ადამიანების გულითადობა.

— ჩვენ, — თქვა პრემიერ-მინისტრმა, — ვიყავით საბჭოთა კავშირის რამდენიმე რესპუბლიკაში, და ყველგან ხალხი გულმხურვალედ გვხვდებოდა. ზოგან ჩვენ გვხვდებოდნენ არა მარტო როგორც მეგობრებს, არამედ როგორც შშობლიურ და მახლობელ ადამიანებს.

დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე, — თქვა შემდეგ პრემიერ-მინისტრმა უ ნუმ, — საბჭოთა კავშირის წარმატებებმა ეკონომიკის დარგში და, კერძოდ, ღონისძიებებმა სოფლის მეურნეობაში. მე ვნახე და შევისწავლე ბევრი ისეთი რამ სოფლის მეურნეობის დარგში, რაც შეიძლება დიდი სარგებლობა მოუტანოს ბირმას.

მე გამოიცა აგრეთვე მეტად მადალმა დონემ, რომელსაც საბჭოთა კავშირმა მიაღწია კულტურის განვითარებაში. დიდი სიამოვნებით ვნახე საბჭოთა ბალეტი, მოვისმინე ოპერები და ვოკალური ანსამბლები.

— საბჭოთა მთავრობა, — თქვა პრემიერ-მინისტრმა უ ნუმ, — დიდად ზრუნავს შშრომელი მასების მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის.

პრემიერ-მინისტრმა უ ნუმ განსაკუთრებით აღნიშნა სრული თანასწორუფლებიანობა და თავისუფლება, რომლითაც სსრ კავშირში სარგებლობენ ქალები, მათ შორის ქალები საბჭოთა რესპუბლიკებში, სადაც მუსლიმანი მოსახლეობაა. მან აგრეთვე განაცხადა, რომ, როგორც დარწმუნდა, ბუდისტები საბჭოთა კავშირში სარგებლობენ სარწმუნოებისა და რელიგიური კულტების შესრულების თავისუფლებით.

უპასუხა რა კორესპონდენტთა კითხვებზე, პრემიერ-მინისტრმა უ ნუმ კმაყოფილება გამოთქვა სსრ კავშირში მიღწეული შეთანხმებით საქონელგაცვლისა და ბირმისადმი ტექნიკური დახმარების შესახებ. უ ნუმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირი ბირველი ქვეყანაა, რომელიც დათანხმდა ტექნიკური დახმარება გაუწიოს ბირმას იმ პირობების საფუძველზე, რომლებიც ბირმამ წამოაყენა.

ბირმის პრემიერ-მინისტრმა უპასუხა მთელ რიგ კითხვებზე ბირმის პოზიციის შესახებ საერთაშორისო საკითხებში. ილაპარაკა რა ამაზე, რასაც, მისი აზრით, შეუძლია ყველაზე მეტად შეუწყოს ხელი დაძაბულობის შენელებას აზიისა და შორეულ აღმოსავლეთში, უ ნუმ აღნიშნა, რომ დიდი სარგებლობა შეიძლება მოიტანოს ურთიერთ სტუმრობამ და ქვეყნებს შორის კონტაქტების გაფართოებამ. მე ყოველთვის მიმაჩნდა, განაცხადა პრემიერ-მინისტრმა, რომ ადამიანებს შორის კონტაქტის დამყარება მშვიდობის განმტკიცების საუკეთესო საშუალებაა. უ ნუმ მაგალითად მოიყვანა ბანდუნგის კონფერენცია, რომელზეც, მისი სიტყვით, ბირმამ შეძლო მნიშვნელოვნად გაეფართოებინა იმ ქვეყნების რიცხვი, რომლებთანაც მას მეგობრული ურთიერთობა აქვს.

ილაპარაკა რა ბირმის საგარეოპოლიტიკურ კურსზე, უ ნუმ განაცხადა, რომ მშვიდობისა და უშიშროების შენარჩუნების საუკეთესო საშუალებად ბირმას მიაჩნია მონაწილეობა არ მიიღოს რაიმე ბლოკში. როგორც ქვეყანა, რომელიც არაკითარი ვალდებულებებით არ არის დაკავშირებული რომელიმე ბლოკთან, თქვა უ ნუმ, ბირმას შეუძლია მეგობრული ურთიერთობა ჰქონდეს ყველა ქვეყანასთან. ჩვენ შემდეგშიც, თქვა უ ნუმ, თავს შეიკავებთ რომელიმე ბლოკთან შეერთებისაგან. (საკდესი).

გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა რესპუბლიკური თათბირის მონაწილეთა მიმართვა

საქართველოს სს რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოთა და მშენებლობათა ყველა მუშას და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკს, ნოვატორებს, გამომგონებლებსა და რაციონალიზატორებს

ამხანაგებო!

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, უდიდესი ენთუზიაზმით ახორციელებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის დადგენილებას „მრეწველობის შემდგომი აღმავლობის, ტექნიკური პროგრესისა და წარმოების ორგანიზაციის გაუმჯობესების ამოცანების შესახებ“.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებები თვალნათლივ აღასტურებენ იმ უდიდეს ყურადღებას, რომლითაც კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ეკიდებიან წარმოების ნოვატორების, გამომგონებლებისა და რაციონალიზატორების აღზრდას, რომელთა საქმიანობა მიზნად ისახავს ჩვენი დიდი სოციალისტური სამშობლოს ძალისა და ძლიერების განმტკიცებას.

ჩვენი სოციალისტური წარმოების შემდგომი გაუმჯობესებისა და ტექნიკური პროგრესის საქმეში დიდი როლი ეკუთვნით რაციონალიზატორებსა და გამომგონებლებს, რომლებსაც ამ საქმეში შეაქვთ თავიანთი წვლილი, პოულობენ ახალ რეზერვებს წარმოების ზრდისა და შრომის ნაყოფიერების ამაღლებისათვის.

ჩვენი რესპუბლიკის მარტო ქვანახშირის მრეწველობის საწარმოებში, ამიერკავკასიის „მეტალურგმშენის“ ტრესტის, ამიერკავკასიის რკინიგზის, ფართო მოხმარების საქონლის მრეწველობის საწარმოებში მიმდინარე წლის პირველ ნახევარში რაციონალიზატორებისა და გამომგონებლების წინადადებათა დანერგვით წლიური ეკონომია 12 მილიონ მანეთს აღწევს.

ჩვენს რესპუბლიკაში ფართოდ ცნობილია ისეთი რაციონალიზატორები და გამომგონებლები, როგორიც არიან ამხანაგები: მარდალეიშვილი, კასპაროვი, კიკვიძე, სოლომკო, ჭუმბურიძე, ზუბრიცკი, გორშკოვი, რუხაძე და ბევრი სხვა. შემოქმედებითად მონაწილეობენ რა სოციალისტურ შეჯიბრებაში, ისინი სრულყოფილად დაეუფლნენ ტექნიკას, შეიმუშავეს შრომის ახალი მეთოდები, თავიანთი ძვირფასი წინადადებებით ხელი შეუწყეს ტექნიკური პროგრესს და წარმოების მაღალ რენტაბელობას.

ნოვატორებს აქტიურ დახმარებას უწევენ თბილისის ფეხსაცმლის № 1 ფაბრიკაში, სტალინის სახელობის ორთქლმავალვაგონშემკეთებელ ქარხანაში, ქუთაისის სამთო მანქანათმშენებელ ქარხანაში, კიროვის სახელობის ჩარხმშენებელ ქარხანაში და მთელ რიგ სხვა საწარმოებში.

ამასთან ერთად ჩვენი რესპუბლიკის ბევრ საწარმოში და მშენებლობაზე წარმოების ნოვატორთა შემოქმედებითი საქმიანობა ვერ პოულობს მხარდაჭერას, მათი წინადადებების განხილვას დიდხანს აყოვნებენ, ჭიანურდება ამ წინადადებების დანერგვა წარმოებაში, ნოვატორების გამოცდილება საერთო კუთვნილება არა ხდება.

სოციალისტური წარმოების განვითარებისა და გაუმჯობესების დარგში დიდი და რთული ამოცანების განხორციელება თვითეული მშრომელისაგან მოითხოვს შემოქმედებითს აქტივობას. ნოვატორობა ის დიდი ძალაა, რომლის ფართოდ გავრცელება უზრუნველყოფს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის მიერ დასახული ისტორიული ამოცანების განხორციელებას.

ჩვენ, რაციონალიზატორებისა და გამომგონებლების რესპუბლიკური თათბირის მონაწილენი, მოგიწოდებთ სამრეწველო საწარმოთა და მშენებლობათა მუშებს, მოსამსახურეებსა და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების მუშაკებს გავაფართოოთ რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა მოძრაობა, კიდევ უფრო მასობრივი გავხადოთ იგი, ვეცადოთ, რომ ნოვატორთა მიღწევები ყველა მუშის, ყველა საამქროს, ყველა ქარხნის, ფაბრიკის, შახტისა და მშენებლობის კუთვნილებად გახდეს.

ჩვენ მოვუწოდებთ მრეწველობისა და მშენებლობების საწარმოების, საამქროების, განყოფილებების, ბრიგადების, მუშათა მასობრივი გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის კომისიების ხელმძღვანელებს, პროფკავშირთა საფაბრიკო-საქარხნო და ადგილობრივ კომიტეტებს სისტემატურად გამოიჩინონ მზრუნველობა და ყურადღება რაციონალიზატორებისა და გამომგონებლებისადმი, სწრაფად და დროულად დანერგონ მათი წინადადებანი წარმოებაში, ყოველდღიურად და უმჯობესად მხარი და პრაქტიკული დახმარება გაუწიონ წინადადებათა ტექნიკურ დამუშავებაში, მიიწვიონ კონსულტანტებად კვალიფიციური ინჟინერ-ტექნიკოსები.

უნდა შეიქმნას ყველა პირობა გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა რიგების განუწყვეტელი ზრდისათვის, მათი ნაყოფიერი მუშაობისათვის, რათა ნოვატორთა შემოქმედებამ კიდევ უფრო მეტად შეუწყოს ხელი სახალხო მეურნეობის ტექნიკურ პროგრესს, შრომის ნაყოფიერების გადიდების რეზერვების უფრო სრულად გამოყენებას.

თათბირი მოუწოდებს სამეცნიერო დაწესებულებათა მუშაკებს, სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოებებს, უფრო ფართოდ მოაწყონ ჩვენი ქვეყნისა და უცხოეთის მოწინავე გამოცდილების ტექნიკური პროპაგანდა, მეტი დახმარება გაუწიონ რაციონალიზატორებსა და გამომგონებლებს მათი ტექნიკური ცოდნის ამაღლებაში.

ჩვენ, რაციონალიზატორები და გამომგონებლები, ჩვენი საბჭოთა პრესისაგან, გაზეთებისა და ჟურნალებისაგან მოველით, რომ მათ მეტი ყურადღება მიაქცევენ ჩვენს მუშაობას, უფრო ფართოდ აჩვენონ ნოვატორთა მიღწევები. საჭიროა, რომ თავის მხრივ გამომგონებლებმა და რაციონალიზატორებმაც უკეთ გამოიყენონ პრესის ტრიბუნა, გაბედულად და პრინციპულად გააკრიტიკონ ყველა ის, ვინც კონსერვატიულ დამოკიდებულებას იჩენს სიახლისადმი.

მშობლიური კომუნისტური პარტიისადმი ღრმა სიყვარულისა და ერთგულების გრძნობით გამსჭვალულმა რაციონალიზატორებმა — ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის ხარატმა ამხ. ჭუმბურიძემ, ქუთაისის სამთო მანქანათმშენებელი ქარხნის ელექტროშემდუღებელმა ამხ. რუხაძემ და ჩვენი რესპუბლიკის ბევრმა სხვა გამომგონებელმა და რაციონალიზატორმა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საოქტომბრო მოწოდებათა პასუხად იკისრეს სოციალისტური გალდებულება — პარტიის XX ყრილობის გახსნა აღნიშნონ ახალი მიღწევებით თავიანთ შემოქმედებითს მუშაობაში, შეიმუშაონ და ამ ვადისათვის დანერგონ ძვირფასი წინადადებანი ეფექტიანი ხელსაწყოების, მექანიზმების, შრომის შემამსუბუქებელი სამარჯვების შესაქმნელად, მაღალი წარმადობის ინსტრუმენტებისა და დეტალთა დამუშავების ხერხების შესაშუშავებლად.

მოგიწოდებთ ფართოდ გამოეხმაუროთ ამ თაოსნობას, მშობლიური კომუნისტური პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავად შეიტანოთ ასობით და ათასობით ახალი წინადადებანი, რომლებიც ხელს შეუწყობენ ჩვენი სოციალისტური მრეწველობის ტექნიკურ პროგრესს.

პარტიულ თემაზე

პარჭიის რაიკომი და გამოფენის მონაწილეთა გამოცდილების პროპაგანდა

მუდმივმოქმედ სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენას საბჭოთა ხალხი სამართლიანად უწოდებს საყოველთაო-სახალხო უნივერსიტეტს. გამოფენა ასახავს მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის მტკიცე კავშირის უძლეველობას, საკოლმეურნეო წყობილების უპირატესობას.

სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილეთა გამოცდილების ფართო პროპაგანდა სასოფლო პარტიული ორგანიზაციების სისხლხორცეული საქმეა. პარტიის სტალინირის რაიკომი, პირველადი პარტიული ორგანიზაციები თავდადანე სერიოზულად მოეკიდნენ ამ საქმეს. ჩვენი რაიონიდან საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილეა სოფელ ერედვის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ერთი ბრიგადა და მოწინავე კოლმეურნე მებაღეები. საკოლმეურნეო პარტიულმა ორგანიზაციამ ფართოდ გააჩაღა გამოფენის მონაწილეების, ბრიგადირ შ. ბერუაშვილის და მოწინავე მებაღეების გ. ტარიელაშვილისა და ნ. მაისურაძის გამოცდილების პოპულარიზაცია, მოაწყო მათი შეხვედრა კოლმეურნეებთან.

პარტიის რაიონული კომიტეტის ბიურომ წელს ორჯერ იმსჯელა ერედვის კოლმეურნეობის მოწინავე გამოცდილების პროპაგანდის საკითხებზე, ამასთან არა მარტო მეხილეობის დარგში, არამედ მთელ რიგ სხვა დარგებშიც, რომლებშიც ერედველებს მნიშვნელოვანი წარმატებანი აქვთ. ბიუროს გადაწყვეტილების საფუძველზე სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში სისტემატურად ეწყობა ექსკურსიები, იკითხება ლექციები და მოხსენებები. ექსკურსანტებს თავიანთი მუშაობის გამოცდილებაზე ესაუბრებიან კოლმეურნეობის თავმჯდომარე ი. ქრისტესიაშვილი, აგრონომი ტ. ცაგარეიშვილი, მეცხოველეობის ფერმის გამგე ო. ქელეხსაშვილი და სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილენი. ჩვენი რაიონის თითქმის ყველა კოლმეურნეობის თავმჯდომარე და მეცხოველეობის ფერმის მუშაკი იყო ერედვში და პირადად გაეცნო მოწინავე კოლმეურნეობის მდიდარ გამოცდილებას.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე კოლმეურნეთა მიერ მიღებული გამოცდილების პროპაგანდას და საკოლმეურნეო წარმოებაში დანერგვას. ორი წლის განმავლობაში ჩვენი რაიონის 160-ზე მეტმა წარმომადგენელმა დაათვალიერა გამოფენა. ესენი იყვნენ კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები, მექანიზატორები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები, რიგითი კოლმეურნეები, პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელი მუშაკები. მათ გამოფენაზე ბევრი რამ ნახეს საინტერესო და სასარგებლო.

პარტიის რაიონულმა კომიტეტმა აღრევე გაითვალისწინა გამოფენაზე ექსკურსანტების მიერ მიღებული გამოცდილების პროპაგანდის მოწყობა და დასახა სათანადო ღონისძიებანი ამ მიმართულებით. მოეწყო ღია კრებები ტრეთის, ხეთაგუროვის, კეხვისა და სხვა სოფლების კოლმეურნეობათა პირველადს პარტორგანიზაციებში, სადაც განხილულ იქნა გამოფენაზე მიღებული გამოცდილების პროპაგანდისა და წარმოებაში დანერგვის საკითხი. გამოფენის თვითეულ ექსკურსანტს მიეცა კონკრეტული დავალება იმის შესახებ, თუ როგორ და რა სახის მუშაობა უნდა გაეწიათ. ექსკურსანტებმა მტს-ებსა და კოლმეურნეობებში 200-ზე მეტი ლექცია და მოხსენება წაიკითხეს სოფლის მეურნეობის ცალკეულ, კონკრეტულ თემებზე სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე მიღებული გამოცდილების შესახებ. გარდა ამისა, 300 აგიტატორი ეწევა გამოფენაზე მიღებული გამოცდილების პროპაგანდას რაიონის კოლმეურნეთა შორის.

განსაკუთრებით შინაარსიანი და მიმზიდველი იყო ზოოტექნიკოსების შ. ამირაღოვისა და მ. ხაჩატუროვას ლექციები. ორი თვის განმავლობაში შ. ხაჩატუროვა ლექციებს კითხულობდა თამარაშენის და ხეთაგუროვის კოლმეურნეობათა საზაფხულო საძოვრებზე, სადაც პროდუქტიული პირუტყვის დიდი ნაწილი იმყოფებოდა. ლექციების ძირითადი თემა იყო გამოფენაზე მიღებული გამოცდილება პირუტყვის ბახაკური შენახვისა და მოვლის საქმეში. თამარაშენელებმა, ძარწემელებმა და ხეთაგუროველებმა კარგად მოაწყეს გამოფენაზე ნახახის მიხედვით პირუტყვის ნაკვეთ მორგეობითი ძოვება, და მოვლა-პატრონობა, რის შედეგად ამ კოლმეურნეობებში წელს პირველად შესრულდა წველადობის დავალება.

რაიონის კოლმეურნეობათა მეცხოველეობის ყველა ფერმაში გამოკრულია კოსტრომის ოლქის მოწინავე მეცხოველეთა წარმატებების ამსახველი დიაგრამები, აგრეთვე მასალები მათი მუშაობის ხერხებისა და მეთოდების შესახებ. ასეთივე მასალები გამოფენილია სმოლენსკის ოლქის საბჭოთა მეურნეობა „ტროსტენეცის“ მეცხოველეთა მიღწევებზეც. საკოლმეურნეო ბიბლიოთეკები შეივსო სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მასალებით, ბროშურებით მემინდვრეობისა და მეცხოველეობის საკითხებზე.

სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე მიღებული გამოცდილების ფართო პროპაგანდამ და წარმოებაში დანერგვამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი მეცხოველეობის წამოწევას, პირუტყვის პროდუქტიულობის ამაღლებას. სტალინირის რაიონმა წველადობის დავალება ჯერ კიდევ მიმდინარე წლის 20 სექტემბრისათვის გადაჭარბებით შეასრულა. განსაკუთრებით თვალსაჩინო წარმატებები მოიპოვეს ერედვის, ხეთაგუროვის, არგვიცის, თამარაშენის, ტბეთისა და სხვა სოფლების კოლმეურნეობებმა.

მაგრამ მოწინავე გამოცდილება მარტო მეცხოველეობაში როდი ინერგება. მეცნიერების მიღწევები, მუშაობის საუკეთესო მეთოდები ინერგება მარცვლეულის, შაქრის ჭარხლის, ბოსტნეული კულტურების მეურნეობაშიც, მებაღეობასა და მევენახეობაში. მოწინავე კოლმეურნე, სოფელ ძარწემის საოფლო-სამეურნეო არტელის წევრი ა. გოგიძე სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე დაინტერესდა ნიადაგის დამუშავების მალცევის მეთოდით. ძარწემში დაბრუნებისთანავე ა. გოგიძემ მალცევის მეთოდით დაამუშავა 80 ჰექტარი, რომელზეც შემოდგომის ხორბალი დათესა. მის ნაკვეთზე პურეულის მოსავლიანობამ ჰექტარზე 20 ცენტნერი შეადგინა, ხოლო ზოგიერთ ნაკვეთზე 27 ცენტნერს გადააჭარბა.

საგრძნობი გარდატეხა მოხდა სიმინდის მოყვანაშიც. წელს რაიონში 300 ჰექტარით მეტი სიმინდი დათესა, ვიდრე შარშან, ძირითადად კვადრატულ-ბუდობრივი წესით. პრაქტიკაში დაინერგა სიმინდის თესვა მაღალმთიანი ზონის კოლმეურნეობებშიც.

მოწინავე გამოცდილების წარმოებაში დანერგვის შედეგად ამაღლდა მწარმოებელთა შემოქმედების კულტურა, მტს-ის ტექნიკა უფრო სრულყოფილად ემსახურება კოლმეურნეობებს. განსაკუთრებით კარგად მუშაობს სტალინირის მანქანა-ტრაქტორთა სადგური. უნდა ითქვას, რომ თუ წელს ჩვენთან უკეთესად ჩატარდა სიმინდის კვადრატულ-ბუდობრივი წესით თესვა, ეს იმით აიხსნება, რომ მტს-ის მექანიზატორებმა ბევრი რამ ისწავლეს და გადმოიტანეს სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილეთა გამოცდილებიდან. მექანიზატორების დახმარებით ხეთაგუროვის, ძარწემის, ქემერტის, ხეითის და სხვა სოფლების კოლმეურნეობებში სასილოსე ნაგებობანი აშენდა სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მეცხოველეობის პავილიონში ნანახის მიხედვით.

ყოველივე ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯებია. მოწინავე გამოცდილების პროპაგანდის დარგში ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი. სტალინირის რაიონული პარტიული ორგანიზაცია შემდგომში კიდევ უფრო გააძლიერებს სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილეთა გამოცდილების პროპაგანდას, რათა მიღწეულ იქნას მემინდვრეობისა და მეცხოველეობის შემდგომი მკვეთრი აღმავლობა.

ვ. სანაკოევი,
საქართველოს კომპარტიის სტალინირის რაიკომის მდივანი.

ნარვის ჰესის მეორე რიგმა დენი მოგვცა

ნარმა. (საკდესი). ნარვის ჰესის მშენებლებმა საზეიმოდ აღნიშნეს ახალი დიდი შრომითი გამარჯვება, რომელიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავ შეჯიბრებაში მოიპოვეს.

საღამოს ელექტროსადგურის მანქანათა დარბაზში მოვიდნენ მშენებლობის ხელმძღვანელები, მემონტაჟეები, ექსპლოატაციის მუშაკები. სადგურის მართვის მთავარ ფართან არიან მორიგი ენერგეტიკოსები.

19 საათი და 55 წუთია. მორიგმა ტექნიკოსმა ევალდ გირშფელდმა მოაბრუნა გასაღები მართვის ფარზე. № 2 აგრეგატი ამუშავდა. დენი მაღალვოლტიანი სადენებით შედის ესტონეთისა და ლენინგრადის ენერგოსისტემაში. ნარვის ჰესის მეორე რიგი მწყობრში ჩადგა.

ხალხისა და სახელმწიფოს ინტერესებისათვის

სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ამოცანების გადაწყვეტაში, რომლებიც დასახულია ადგილობრივი საბჭოების წინაშე, მთავარი როლი დეპუტატებს ეკისრებათ. დეპუტატებს ამომრჩევლები ავალებენ ყოველთვის იდგნენ თავიანთი მაღალი ამოცანების დონეზე, პატიოსნად ასრულებდნენ ხალხის მსახურის მოვალეობას, ყველაფერზე მაღლა აყენებდნენ ხალხისა და სახელმწიფოს ინტერესებს.

დეპუტატის მოვალეობაა დაეხმაროს აღმასკომს ორგანიზატორულ-მასობრივი მუშაობის გაჩაღებაში, განუხრელად იხელმძღვანელოს თავის სადეპუტატო მოღვაწეობაში ამომრჩეველთა განაწესით. დეპუტატებს ყოველდღიური კავშირი უნდა ჰქონდეთ ამომრჩევლებთან, უურს უგდებდნენ მათს ხმას, საყურადღებო წინადადებებს აყენებდნენ სათანადო საბჭოს აღმასკომისა თუ სხვა ორგანოს წინაშე. დეპუტატი მოვალეა ადგილობრივი საბჭოს სესიების გადაწყვეტილებანი გააცნოს ამომრჩევლებს, დარაზმოს ისინი ამ გადაწყვეტილებათა შესასრულებლად, ამასთან პერიოდულად ჩაბაროს ანგარიში თავის ამომრჩევლებს.

როგორ ასრულებენ თავიანთ საპატიო მოვალეობას თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატები, როგორ ემსახურებიან ხალხს?

საქალაქო საბჭოს მეტი წილი დეპუტატები მჭიდროდ დაკავშირებული არიან თავიანთ ამომრჩევლებთან, ხშირად საუბრობენ მათთან, უურადღებით ეპყრობიან ამომრჩეველთა წინადადებებს, საჭიროების მიხედვით ამ წინადადებებს აყენებენ საქალაქო საბჭოს აღმასკომის წინაშე სათანადო ზომების მისაღებად. ისინი ამომრჩევლებს აცნობენ საქალაქო საბჭოს სესიების გადაწყვეტილებებს, რაზმავენ მათ ამ გადაწყვეტილებათა შესასრულებლად.

მიმდინარე წლის ივნისში საქალაქო საბჭოს 18 დეპუტატი შეხვდა თავის ამომრჩევლებს. დეპუტატებმა გააცნეს მათ მეხუთე მოწვევის საქალაქო საბჭოს მეორე სესიის გადაწყვეტილებანი ქალაქის 1954 წლის ბიუჯეტის შესრულების და 1955 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ, ესაუბრნენ საქალაქო მეურნეობის მდგომარეობისა და იმ ღონისძიებათა შესახებ, რომლებიც დასახულია მიმდინარე წელს საქალაქო მეურნეობის განსავითარებლად, კერძოდ, ახალი საცხოვრებელი სახლების, ბანაობების მშენებლობის, ქუჩების და მოედნების კეთილმოწყობის, კულტურისა და ჯანმრთელობის კერების მშენებლობის დარგში.

ამომრჩევლებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს საკითხის განხილვაში და საქმიანი წინადადებებიც შემოიტანეს. თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა ამ წინადადებათა საფუძველზე მიიღო ვრცელი და საქმიანი გადაწყვეტილება, რომლის მიხედვით მიმდინარე წელს უნდა დაიწყოს ბანოს მშენებლობა სტალინის რაიონში, მომავალი წლისათვის გათვალისწინებულია ბანოების მშენებლობა კალინინისა და მოლოტოვის რაიონებში. წელს დამთავრდება ფიროსმანის, გოგებაშვილის, მიჩურინის, დიდუბეის ქუჩების, საბჭოს მოედნისა და სანაპიროს კეთილმოწყობა, დასრულდება შრომის, გოგიეთის და საკაძის ქუჩებზე კანალიზაციის ქსელის, ხოლო მიასნიკოვის ქუჩაზე სამეურნეო-ფეკალური ქსელის გაყვანა.

დეპუტატები საბჭოს ორგანიზატორულ-მასობრივ მუშაობაში უმთავრესად მუდმივი კომისიების საშუალებით მონაწილეობენ. ცუდად არ მუშაობენ თბილისის საქალაქო საბჭოს მუდმივი კომისიები. მათი წევრები აღმასკომის სათანადო განყოფილებებთან ერთად სწავლობენ მომწიფებულ საკითხებს, მსჯელობენ შემოწმების შედეგებზე, საჭიროების მიხედვით ზოგიერთ საკითხს აყენებენ აღმასკომის წინაშე სათანადო გადაწყვეტილების მისაღებად. მაგალითად, ადგილობრივი მრეწველობის მუდმივმა კომისიამ შეისწავლა საქალაქო საბჭოს აღმასკომის ადგილობრივი მრეწველობის განყოფილების ხაზით კაპიტალური მშენებლობის მიმდინარეობის საკითხი. გამოვლინდა სერიოზული ნაკლოვანებანი: კაპიტალური მშენებლობის გეგმები არ სრულდებოდა, რასაც იწვევდა სამშენებლო ორგანიზაციების არადამაკმაყოფილებელი მუშაობა, ობიექტები უზრუნველყოფილი არ იყო მუშახელითა და მასალებით. კომისიამ აღმასკომის სხდომის განსახილველად შეიტანა შემოწმების შედეგები. აღმასკომმა მიიღო კონკრეტული გადაწყვეტილება, რომლის განხორციელების შედეგად მდგომარეობა საგრძნობლად გამოსწორდა.

განათლების მუდმივმა კომისიამ შეისწავლა ქ. თბილისის საზოგადოებრივ ადგილებში და ქუჩაში ბავშვთა და მოზარდთა ყოფაქცევის წესების შესახებ საქალაქო საბჭოს აღმასკომის სავალდებულო გადაწყვეტილების შესრულების მიმდინარეობა. როგორც შემოწმებამ გამოავლინა, მთელი რიგი სკოლების მოსწავლენი არ ატარებდნენ მოსწავლის ფორმას, მოსწავლეთა ნაწილი უმიზეზოდ აცდენდა გაკვეთილებს, არღვევდა მოძრაობის წესებს. შემოწმების შედეგებზე იმსჯელა საქალაქო საბჭოს აღმასკომმა და კონკრეტული ღონისძიებანი დასახა. ახლა განათლების კომისია სწავლობს ქალაქის სკოლების ზამთრისათვის მზადების საკითხს. ეს საკითხიც საქალაქო საბჭოს აღმასკომის მსჯელობის საგანი გახდება, ვინაიდან, როგორც შემოწმების წინასწარი შედეგები ცხადყოფს, სკოლების ზამთრისათვის მზადების საქმეში ყველაფერი რიგზე არ არის. ამას ის ფაქტიც ადასტურებს, რომ ქალაქის სკოლებს 18 ოქტომბრისათვის თბილისის სათბობ მასალათა ტრესტიდან გატანილი არ ჰქონდა 1.678 კუბმეტრი შეშა.

ზოგიერთი მუდმივი კომისია მოუქნელად, სუსტად მუშაობს, ამიტომ ბუნებრივია ვერავითარ გავლენას ვერ ახდენს საქმეზე. კერძოდ, ეს ითქმის კომუნალური მეურნეობისა და საქალაქო მშენებლობის, ჯანმრთელობის, საფინანსო-სამეურნეო კომისიებზე. ამაში ბრალი აღმასკომის შესაბამის განყოფილებებსაც მიუძღვით, ისინი მტკიცედ არ არიან დაკავშირებულნი კომისიებთან.

კომისიების უმოქმედობა პირველ რიგში თვით მათში გაერთიანებული დეპუტატების უმოქმედობის შედეგია. ყველა დეპუტატი როდი გრძნობს საჭირო პასუხისმგებლობას ხალხის, თავისი ამომრჩევლების წინაშე. ზოგიერთი იმდენად გულგრილად ეკიდება თავის სადეპუტატო მოვალეობას, რომ კომისიის სხდომასაც არ ესწრება. ასე იქცევიან, მაგალითად, სამეურნეო-საფინანსო კომისიის წევრი დეპუტატი ნ. დიმიკოვა, კომუნალური მეურნეობისა და საქალაქო მშენებლობის კომისიის წევრი დეპუტატი ა. გაბუნია, ფიზკულტურის კომისიის წევრი ექიმი ა. ჯაფარიძე და სხვები.

სამართლიან საყვედურებს იმსახურებენ ასეთი „საპატიო“ დეპუტატები, რომლებიც ფიქრობენ, რომ ისინი აირჩიეს ემისათვის, რომ ამის ღირსნი იყვნენ, შეუძლიათ არაფერი აკეთონ და ხალხს ნდობა და პატივისცემა ვაინც შეინარჩუნონ. ასეთ „საპატიო“ დეპუტატებს უნდა მოეგონოთ თავისი მოვალეობა.

დეპუტატების მუშაობის გასაძლიერებლად საქალაქო საბჭო მთელ რიგ ღონისძიებებს ახორციელებს. საქალაქო საბჭოს აღმასკომთან ეწყობა დეპუტატის ოთახი. აქ დეპუტატები გაეცნობიან საქალაქო საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებებს, განყოფილებათა სამუშაო გეგმებს. ამავე ოთახში დაწესდება დეპუტატების მორიგეობა, ისინი აქ შეხვდებიან თავიანთ ამომრჩევლებს. აღმასკომის გადაწყვეტილებით გამოცემა დეპუტატის „სამახსოვრო“. აღნიშნულ წიგნში გაუშუქდება დეპუტატის უფლება-მოვალეობანი, მუდმივი კომისიების მუშაობის ორგანიზაციის საკითხები და სხვ.

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს დეპუტატები და საბჭოს მუდმივი კომისიები უკეთესად იმუშავებენ იმ დიდი ნდობის გასამართლებლად, რომელიც მათ ამომრჩევლებმა გამოუცხადეს.

ზ. მუჩაიშვილი,

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილების გამგე.

ჯავის რაიონში, მთებში, ზღვის დონიდან 2.240 მეტრ სიმაღლეზე, სოფ. ერმამის ახლოს არის სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ლენინგრადის ფილიალის სამეცნიერო-საკვლევი სადგური. აქ წარმოებს ცდები მაღალ მთის ბალახების, ბოსტნეულისა და სხვ. მოსაყვანად. სურათზე: პროფესორი ე. ა. ბუში მუშაობის დროს.

ფოტო ვ. უბოყენკოსი.

სამტრედიელ მეცხოველეთა წარმატებანი

ძველი სამტრედიის ლენინის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ი. მელქაძე) პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავად გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში სეროზული წარმატება მოიპოვა მეცხოველეობის განვითარების საქმეში.

მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდებას იმით მიაღწიეს, რომ მერძეული ძროხები ბაგურ კვებაზე გადაიყვანეს. მაღალპროდუქტიული ძროხები ცალკე გამოჰყვეს და გაძლიერებულ კვებაზე ჰყავთ. მეწველ ძროხებს 3-4 კილოგრამ კონცენტრატს, 50-60 კილოგრამ იონჯას აძლევენ, ქვამარილი ეძლევა მოთხოვნილების მიხედვით, წყალს ძროხები ავტოსარწყულებლებით სვამენ ნებისმიერად. ამის შედეგად მეცხოველეობაში სამეურნეო წელი წარმატებით დაამთავრეს. მეცხოველეობის ფერმამ (გამგე ე. ქართველიშვილი) 1 ოქტომბრისათვის თვითეულ საფურაჟე ძროხაზე 1.328 კილოგრამი რძე მიიღო ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1.000 კილოგრამისა. ყოველ 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე რძის წარმოება შეადგენს 270 ცენტნერს ნაცვლად გასული წლის 150,2 ცენტნერისა.

კარგ მაჩვენებლებს მიაღწიეს ცალკეულმა მწველავებმა. მაგალითად, ქენია მუქერიამ, რომელიც კრასნოდარის მხარის ლაზარევსკოეს რაიონის სოფელ დაგომისის მაღენკოვის სახელობის კოლმეურნეობის მწველავს ფლორა აეზიანს ეჯიბრება, მისთვის მოსავლად მიჩენილ 10 ძროხაზე მიიღო და შეინარჩუნა 10 ხბო, ხოლო თვითეულ საფურაჟე ძროხაზე მოწველა 1.527 კილოგრამი რძე ნაცვლად 1.000 კილოგრამისა. ნადია ბულაძემ თვითეულ საფურაჟე ძროხაზე გეგმის გადამეტებით მიიღო 372 კილოგრამი რძე.

კოლმეურნეებმა მნიშვნელოვანი წარმატება მოიპოვეს საკვები ბაზის განმტკიცების საქმეში. აქ საკვები კულტურები ისეთი ოდენობით დათესეს, რომ უზრუნველყვეს პირუტყვის შეუფერხებელი კვება მწვანე საკვებით მთელი ზაფხულის განმავლობაში. ახლა კოლმეურნეობაში ემზადებიან პირუტყვის სანიმუშოდ გამოზამთრებისათვის, თვითეულ ძროხაზე 5 ტონა სილოსი ჩადეს.

სოფელ ჭაგნის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე დ. ქაჯაია) წარმატებით დაამთავრა სამეურნეო წელი, დიდი გადაჭარბებით შეასრულა წველადობის წლიური დავალება.

განსაკუთრებით განთქმულია ჭაგნის კოლმეურნეობის მეღორეობის საჯიშე ფერმა (გამგე ვ. არველაძე). ფერმაში 128 სული ღორია, აქედან 30 მსხვილი თეთრი ჯიშის მაღალპროდუქტიული დედაღორი. ღორების მოვლის გაუმჯობესებისა და მაღალპროდუქტიული კერატების შერჩევის გზით აქ წელს თვითეულ დედაღორზე 16 გოჭი მიიღეს. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის წარმატება, რომელსაც მეღორე ლავრენტი არველაძემ მიაღწია. მას მოსავლად მიჩენილი ჰყავს 12 დედაღორი. იგი საუკეთესოდ იცავს პროფილაქტიკურ და ზოოვეტერინარულ წესებს. ღორებს შერჩეულ საკვებს აძლევს, უურადღებას აქცევს ღორების დროზე დაგრილებას. არველაძემ მიაღწია იმას, რომ დედაღორები წელიწადში ორჯერ იგებენ გოჭებს. მან წელს თვითეულ დედაღორზე 19 გოჭი მიიღო ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 16-სა. გოჭები მთლიანად შეინარჩუნა.

პირველად მონაგები გოჭების გაზრდის შედეგად კოლმეურნეობამ სახელმწიფოს ჩააბარა 1.250 კილოგრამი ხორცი, ხოლო მეორე მოგებიდან 13 გოჭი ორი თვის ასაკში — თვითეული 20-20 კილოგრამი წონით ჯიმშასაშენ კანტორას ჩაბარდა. მოპოვებული წარმატების შედეგად ლ. არველაძემ პრემიის სახით კოლმეურნეობისაგან მიიღო თორმეტ-თორმეტ კილოგრამიანი 9 გოჭი.

სამტრედიელმა მეცხოველეებმა გადაწყვიტეს უფრო მაღალი საწარმოო მაჩვენებლები მოიპოვონ პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავად.

ვ. კოკალეიშვილი,

„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

მეცხოველეობის სიმაღლეთა მშენებლობის მიმდინარეობა საქართველოს რესპუბლიკაში

1955 წლის 1 ნოემბრისათვის

საძროხეებისა

წინ მიდიან

რაიონები	გეგმის შესრულება პროცენტობით
მახარაძის	105,8
ახალციხის	102

ჩამორჩნენ

ადიგენის, ბორჯომის, ზესტაფონის, ზუგდიდის, ქარელის, ქუთაისის, მაიაკოვსკის, სამტრედიის, ჭიათურის.

სახბოროეებისა

წინ მიდიან

მახარაძის	125
სილნაღის	103
ახალციხის	100

ჩამორჩნენ

ადიგენის, ბორჯომის, ზესტაფონის, ქარელის, ქუთაისის, მაიაკოვსკის, სამტრედიის, ჭიათურის.

ფარეხებისა

წინ მიდიან

ახმეტის	172
თიანეთის	150
ყაზბეგის	111
ჯავის	100

ჩამორჩნენ

სილნაღის, ლაგოდეხის, ბოლნისის, თელავის, საგარეჯოს, გორის.

საღორეებისა

წინ მიდიან

სილნაღის	130
ახალციხის	109
მახარაძის	100

ჩამორჩნენ

ადიგენის, ბორჯომის, ზესტაფონის, ზუგდიდის, ქუთაისის, მაიაკოვსკის, ჭიათურის.

საფრინველეების და საწიწილეებისა

წინ მიდის

ახალციხის	100

ჩამორჩნენ

ადიგენის, ბორჯომის, ზესტაფონის, მაიაკოვსკის, ქუთაისის, სამტრედიის, ჭიათურის.

გეგმების შესრულება

სილნაღის რაიონის კოლმეურნეობებმა 27 ოქტომბრისათვის 100 პროცენტით შეასრულეს სახელმწიფოსათვის მარცვლეულის ჩაბარების გეგმა.

* * *

ჩოხატაურის რაიონმა ხილის დამზადების გეგმა შეასრულა. სახელმწიფოს ჩაბარდა 609 ტონა ხილი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 605 ტონისა.

* * *

ამბროლაურის რაიონის კოლმეურნეობებმა გადაჭარბებით შეასრულეს სილოსის ჩადების გეგმა. ჩადებულია 9.036 ტონა სილოსი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 9.000 ტონისა.

გამოუქვეყნებელი წერილების კვალდაკვალ

რედაქციაში შემოვიდა წერილი, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ ყვარლიდან თბილისში მოქ. მამაგეშვილის სახელზე გამოგზავნილი დებეშა დამახინჯებულ იქნა ფოსტის მუშაკების უხეიერი მუშაობის შედეგად.

წერილი ზომების მისაღებად გადაეგზავნა საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს, რომელიც გვატყობინებს, რომ წერილში აღნიშნული ფაქტები დადასტურდა.

თბილისის ტელეგრაფის ტელეგრაფისტი მ. ზაპრუცკაია მოხსნილია სამუშაოდან.

* * *

საჩხერის რაიონის ქორეთის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე გ. ღუღუნიშვილი უხეშად ეპყრობა კოლმეურნეებს, ანაგებს საკოლმეურნეო ქონებას, — სწერდნენ რედაქციას საჩხერის რაიონიდან.

წერილი ზომების მისაღებად გადაეგზავნა საქართველოს კომპარტიის საჩხერის რაიკომს. რაიკომი გვატყობინებს, რომ ქორეთის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრებამ გ. ღუღუნიშვილი სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დარღვევისათვის, უხეშობისა და თავშეუკავებლობისათვის კოლმეურნეობის თავმჯდომარეობიდან გაათავისუფლა.

სოციალისტური ინდუსტრიალიზაცია ევროპის სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მთელი კაცობრიობისათვის, მთელ მსოფლიოში რევოლუციური მოძრაობის განვითარებისათვის. სსრ კავშირის წარმატებები წარმოადგენს საუკეთესო მაგალითს სოფლიოს პროლეტარიატისათვის. ამამად დემოკრატიული ბანაკის ქვეყნების ასეულ მილიონობით მოსახლეობა ქმნიან სოციალიზმს ერთადერთი მატერიალური საფუძველი შეიძლება იყოს მსხვილი მანქანური მრეწველობა, რომელსაც ალუძს მიწათმოქმედების გარდაქმნაც“.

ახალი წყობილების დამყარებამდე ევროპის სახალხო დემოკრატიული ქვეყნებიდან ზოგიერთი მრეწველობის განვითარების თვალსაზრისით მეტად ჩამორჩენილი იყო და თუ მრეწველობა ვითარდებოდა, ისიც კერძოკაპიტალისტური რეჟიმის ფარგლებში. სოფლის მეურნეობის განვითარებას ხელს უშლიდა ფეოდალურ-ბატონყმური გადმონაშთები, მილიონობით გლეხობას მიწები არ ჰქონდა. სახალხო მეურნეობაში გაბატონებულ როლს თამაშობდა უცხოეთის კაპიტალი. ჩეხოსლოვაკიის მრეწველობაში დაბანდებული იყო გერმანიის, ამერიკის და სხვა ქვეყნების კაპიტალი; რუმინეთში — ინგლისის, ამერიკის, ჰოლანდიის და საფრანგეთის კაპიტალი ფლობდა ნავთობის მრეწველობის სამ მეოთხედს და გაბატონებული იყო ქვეყნის საბანკო სისტემაში. მსგავსი მდგომარეობა იყო პოლონეთში, უნგრეთში, ბულგარეთში და ალბანეთში. უცხოელი იმპერიალისტები ამ ქვეყნებს უყურებდნენ როგორც ნედლეულისა და იაფი მუშახელის წყაროს. ეს გარემოება ხელს უშლიდა ზემოხსენებულ ქვეყნებში საკუთარი მძიმე ინდუსტრიის განვითარებას.

სახალხო-დემოკრატიული წყობილების დამყარების შემდეგ ევროპის ამ ქვეყნებში ძირეულად შეიცვალა ეკონომიური სტრუქტურა. მსხვილი და საშუალო მრეწველობა, ტრანსპორტი, ბანკები, საგარეო ვაჭრობა გადავიდა სახალხო საკუთრებაში. განხორციელდა მიწის რეფორმა. ბოლო მოეღო უცხოეთის კაპიტალის ბატონობას სახალხო მეურნეობაში. ნაცვლად კაპიტალისტურისა შეიქმნა სოციალისტური ეკონომიკა მისთვის დამახასიათებელი გეგმაანი მეურნეობით. ამასთანავე ამ ქვეყნების კომუნისტურმა და მუშათა პარტიებმა მთავარ ამოცანად დაისახეს ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაცია, საკუთარი მძიმე ინდუსტრიის შექმნა, რაც საშუალებას მისცემს მათ გადალახონ ის წინააღმდეგობანი, რომლებიც დამახასიათებელია გარდამავალი პერიოდისათვის, და წარმატებით ააგონ სოციალიზმი.

მიუხედავად იმისა, რომ მეორე მსოფლიო ომის შედეგად ამ ქვეყნებს სახალხო მეურნეობა დანგრეულ იქნა, ევროპის სახალხო დემოკრატიის ქვეყნებმა მძიმე მრეწველობის განვითარების გზაზე უდიდესი წარმატება მოიპოვეს. მათ გადაჭარბებით შეასრულეს ომისშემდგომი სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების გეგმები.

შემდეგში ევროპის სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ხუთწლიანი და ექვსწლიანი (პოლონეთში) გეგმების ძირითად ამოცანას შეადგენდა მძიმე ინდუსტრიის განვითარება. პოლონეთის ექვსწლიანი (1950-1955 წ. წ.) გეგმა ითვალისწინებს მძიმე ინდუსტრიის დონის ზრდას 1955 წლისათვის 1949 წელთან შედარებით 154 პროცენტით, ხოლო მსუბუქი მრეწველობისას — 111 პროცენტით, ჩეხოსლოვაკიის პირველი ხუთწლიანი გეგმა (1949-1953 წ. წ.) ითვალისწინებდა მძიმე მრეწველობის პროდუქციის ზრდას 133 პროცენტით, მსუბუქი მრეწველობისას — 73 პროცენტით და ა. შ.

მძიმე მრეწველობის განვითარების დარგში ევროპის სახალხო დემოკრატიის ქვეყნების უდიდეს წარმატებებზე მეტყველებს შემდეგი ფაქტი: ევროპის სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში სამრეწველო პროდუქციის დონე ომამდელ პერიოდთან შედარებით მიმდინარე წლის დასაწყისში გაიზარდა 245 პროცენტით, ხოლო ევროპის კაპიტალისტურ ქვეყნებში (საფრანგეთი, ბელგია, ავსტრია, დანია, საბერძნეთი, ლუქსემბურგი) — 39 პროცენტით. ომამდელ პოლონეთს სამრეწველო წარმოების მხრივ ევროპაში ერთ-ერთი უკანასკნელი ადგილი ეკავა. ამჟამად პოლონეთის სახალხო რესპუბლიკა უშვებს მეტ სამრეწველო პროდუქციას, ვიდრე იტალია, და თითქმის იმდენს, რამდენსაც საფრანგეთი. ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის გამოშვების მიხედვით პოლონეთი დაეწია საფრანგეთს, ჩეხოსლოვაკიამ ფოლადის გამოდნობის მხრივ გაუსწრო შვეიცარიას და საფრანგეთს, ხოლო ელექტროენერგიის გამომუშავებაში — საფრანგეთსა და იტალიას.

დემოკრატიული წყობილების დამყარების შემდეგ ევროპის სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში აგებულ იქნა უახლესი ტექნიკით აღჭურვილი მთელი რიგი კომბინატები: ვ. ი. ლენინის სახელობის მეტალურგიული კომბინატი „ნოვა გუტა“ პოლონეთში, ი. ბ. სტალინის სახელობის ქიმიური კომბინატი ბულგარეთში, კლემენტ გოტვალდის სახელობის მეტალურგიული კომბინატი ჩეხოსლოვაკიაში, დუნაის მეტალურგიული კომბინატი უნგრეთში და სხვ., რომლებიც თავიანთი მოწყობილობით და მოცულობით დასავლეთ ევროპის ქვეყნებში არსებულ მსგავს კომბინატებზე მაღლა დგანან.

ევროპის სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში შეიქმნა ქვანახშირის მრეწველობის, მეტალურგიული და ენერგეტიკული საკუთარი ბაზა. იზრდება ფოლადისა და თუჯის გამოდნობა, ქვანახშირის ამოღება, ელექტროენერგიის გამომუშავება. ბულგარეთში 1954 წელს ქვანახშირის ამოღების დონემ თითქმის ოთხჯერ გადააჭარბა ომამდელ დონეს, ელექტროენერგიის გამომუშავებამ — თითქმის 6-ჯერ.

ევროპის სახალხო დემოკრატიის ქვეყნებს აქვთ საჭირო ნედლეული და იქ არსებობს ყოველგვარი შესაძლებლობა საკუთარი მძიმე ინდუსტრიის განვითარებისათვის. ომისშემდგომ პერიოდში ამ ქვეყნებში აღმოჩენილ იქნა ახალი წიაღისეული სიმდიდრეები. ამან ხელი შეუწყო ძველი საწარმოების გაფართოებას და მთელი რიგი ახალი დარგების შექმნას. რუმინეთში ახლა იღებენ 1,5-ჯერ მეტ ნავთობს, ვიდრე ომამდე. ქვანახშირის ამოღება გაიზრდება 8.5 მილიონ ტონამდე, ე. ი. 3,3-ჯერ ომამდელთან შედარებით. იზრდება რკინის ამოღება. აგრეთვე შენდება პირველი ქიმიური კომბინატი, რომელიც იმუშავებს საკუთარი ნედლეულით. მიმდინარე წელს პოლონეთში ქვანახშირის ამოღება მიაღწევს 100 მილიონ ტონას, ელექტროენერგიის გამომუშავება — 19,3 მილიარდ კილოვატ-საათს, ფოლადის გამოდნობა — 4,6 მილიონ ტონას და სხვ. მიმდინარე წელს პოლონეთმა უნდა გამოუშვას 11 ათასი ტრაქტორი, ათეულ ათასობით კომბაინი და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანები. უნგრეთის მრეწველობის ენერგეტიკულ რესურსებს შეადგენენ ქვანახშირი, ნავთობი და ბუნებრივი გაზი. ამ დარგში უნგრეთმა ჯერ კიდევ 1947 წელს გადააჭარბა ომამდელ დონეს. მნიშვნელოვნად იზრდება ნავთობისა და ფერადი ლითონების მრეწველობა ალბანეთში.

ევროპის სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში იქმნება მრეწველობის ახალი დარგები. პოლონეთში — გემთმშენებლობა, საავტომობილო, სატრაქტორო მრეწველობა, სასოფლო-სამეურნეო მანქანების წარმოება, მძიმე დაზგების წარმოება. პოლონეთში ამჟამად 9-ჯერ მეტ მანქანას და 15-ჯერ მეტ ლითონდამამუშავებელ დაზგებს უშვებენ, ვიდრე ომამდე. სამრეწველო წარმოების დარგში პოლონეთს ამჟამად ევროპაში უკავია მე-5 ადგილი (სსრ კავშირი, ინგლისი, გერმანია, საფრანგეთი).

უნგრეთში შეიქმნა და ვითარდება დაზგათმშენებლობა, საავტომობილო და სატრაქტორო მრეწველობა, სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობა, სამთო და სამშენებლო მოწყობილობის წარმოება, გემთმშენებლობა და სხვ. რუმინეთში მზადდება ნავთობის მრეწველობისათვის საჭირო მოწყობილობა და სასოფლო-სამეურნეო მანქანები.

მძიმე ინდუსტრიის განვითარებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ევროპის სახალხო დემოკრატიის ქვეყნებისათვის. იგი აძლიერებს ქვეყნის დამოუკიდებლობას, მის თავდაცვისუნარიანობას. საფუძველი იქმნება სახალხო მეურნეობის გადაყვანისათვის უმაღლეს ტექნიკურ დონეზე. მძიმე ინდუსტრიის განვითარება ხელს უწყობს შრომის ნაყოფიერებისა და პროდუქტების გამოშვების ზრდას, რაც საჭიროა მშრომელთა მატერიალური დონის ამაღლებისათვის.

მრეწველობის განვითარებასთან ერთად ამ ქვეყნებში იზრდება მუშათა კლასის რიცხვი. მტკიცდება კავშირი მუშათა კლასსა და გლეხობას შორის. იქმნება აუცილებელი პირობები კაპიტალისტური ელემენტების ლიკვიდაციისათვის. უკვე დიდი ხანია აღარ არსებობს უმუშევრობა.

ევროპის სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში სოციალიზმის აგებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმ დახმარებას, რომელსაც მათ სსრ კავშირი უწევს, აგრეთვე იმ გამოცდილებას, რომელიც საბჭოთა კავშირს აქვს ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის საქმეში. საბჭოთა კავშირი ამ ქვეყნებს აწვდის საუკეთესო მოწყობილობას, უწევს მათ ტექნიკურ დახმარებას. საბჭოთა სპეციალისტები ასრულებენ მათთვის საპროექტო სამუშაოებს, ეხმარებიან ტექნიკური პერსონალის მომზადების საქმეში.

ევროპის სახალხო დემოკრატიის ქვეყნები დიდ პოლიტიკურ და ეკონომიურ დახმარებას უწევენ ერთმანეთს.

სახალხო დემოკრატიის ქვეყნებს შორის არსებობს სრულიად ახალი ტიპის ურთიერთობა, რომლის მსგავსი არ ახასიათებს კაპიტალისტური სისტემის. ამ თანამშრომლობას საფუძვლად უდევს სრული თანასწორუფლებიანობა და ეროვნული ინტერესებისადმი პატივისცემა. ი. ბ. სტალინი წერდა, რომ სახალხო დემოკრატიის ქვეყნები „ეკონომიურად შეკავშირდნენ და მოაწყეს ეკონომიური თანამშრომლობა და ურთიერთდახმარება. ამ თანამშრომლობის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ვერც ერთი კაპიტალისტური ქვეყანა ისეთ ნამდვილ და ტექნიკურად კვალიფიციურ დახმარებას ვერ გაუწევდა სახალხო-დემოკრატიულ ქვეყნებს, როგორსაც მათ უწევს საბჭოთა კავშირი. საქმე მარტო ის კი არ არის, რომ ეს დახმარება მაქსიმალურად იაფი და ტექნიკურად პირველხარისხოვანია. საქმე უფრო მარეს ყოველისა ის არის, რომ ამ თანამშრომლობას საფუძვლად უდევს გულწრფელი სურვილი — დავეხმაროთ ერთმანეთს და მივაღწიოთ საერთო ეკონომიურ აღმავლობას“.

დოცენტი ი. ტაბაღუა.

ვ. მ. მოლოტოვის შეხვედრა ჟენევის თათბირზე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეთვალყურეთა დელეგაციის მეთაურ გეორგ ჰანდკესთან

ჟენევა, 3 ნოემბერი. (საკდესი). ჟენევის თათბირის მსვლელობაში სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრს ვ. მ. მოლოტოვს რეგულარული ურთიერთობა აქვს მინისტრთა ჟენევის თათბირზე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეთვალყურეთა დელეგაციის მეთაურთან გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს სტატს-მდივან გეორგ ჰანდკესთან. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეთვალყურეთა დელეგაციამ გ. ჰანდკეს, ვ. გორნუსის, მ. შპანგენბერგის, ვ. მაისნერის, ვ. ბერგოლდისა და ვ. მიტგის შემადგენლობით, რომელიც ჟენევაში ჩამოვიდა თათბირის დაწყებისას, მუდმივი კონტაქტი დაამყარა საბჭოთა დელეგაციასთან.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეთვალყურეთა დელეგაციასთან შეხვედრებში საბჭოთა კავშირის დელეგაციის მხრივ მონაწილეობას იღებდნენ ა. ა. გრომიკო, საბჭოთა კავშირის მარშალი ვ. დ. სოკოლოვსკი და გ. ფ. პუშკინი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია ბულგარეთში

პლოვდივი, 2 ნოემბერი. (საკდესი). დღეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია პლოვდივს ჩამოვიდა. ქალაქი მორთული იყო სსრ კავშირისა და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო ალმებით. ათასობით მცხოვრები ქუჩაში გამოვიდა, რათა მისალმებოდა საბჭოთა სტუმრებს. საბჭოთა კავშირის საპარლამენტო დელეგაციას შეხვდნენ პლოვდივის საქალაქო სახალხო საბჭოს თავმჯდომარე ნ. ბალკანჯიევი და ბულგარეთის კომპარტიის პლოვდივის საოლქო კომიტეტის მდივანი ს. გოსპოდოვი. ცენტრალურ მოედანზე გაიმართა მიტინგი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაციამ დათვალიერა ი. ბ. სტალინის სახელობის თამბაქოს ფაბრიკა. ფაბრიკის კოლექტივის სახელით საბჭოთა სტუმრებს მიესალმა საფაბრიკო კომიტეტის წევრი მ. კარაპატლოვა. საპასუხო სიტყვა წარმოთქვა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ლ. ი. ანანიევამ. საბჭოთა დელეგაციის წევრებმა დათვალიერეს ფაბრიკის საამქრები, ესაუბრნენ მუშებს.

შემდეგ სტუმრები გაეცნენ პლოვდივის ღირსშესანიშნაობებს, დათვალიერეს ქალაქის ძველი ნაწილი და მუზეუმები. საბჭოთა დელეგაციის წევრები იყვნენ საბჭოთა არმიისადმი მიძღვნილი მონუმენტის მშენებლობაზე. საქალაქო საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ბალკანჯიევმა სადილი გამართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაციის პატივსაცემად.

დღის მეორე ნახევარში საბჭოთა კავშირის საპარლამენტო დელეგაცია ქალაქ დიმიტროვგრადს გაემგზავრა.

საბჭოთა დელეგაციას ახლავან სსრ კავშირის ელჩი ბულგარეთში ი. კ. პრიხოდოვი, ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი დ. განევი და სახალხო კრების ბიუროს თავმჯდომარე ფ. კოზოკეა.

ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების ჟენევის თათბირი

ჟენევა, 3 ნოემბერი. (საკდესი). დღეს 15 საათზე შუა ევროპის დროით გაიხსნა საფრანგეთის, ინგლისის, საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირის მეექვსე სხდომა.

სხდომას თავმჯდომარეობს ჰ. მაკმილანი.

მინისტრები განაგრძობენ დღის წესრიგის პირველი პუნქტის — ევროპის უშიშროებისა და გერმანიის საკითხის განხილვას.

ინგლისის გაზეთები ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირის შესახებ

ლონდონი, 2 ნოემბერი. (საკდესი). ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირის შესახებ ლონდონის ბევრი გაზეთის მიერ გამოთქმული აზრები კვლავ მკვეთრად განსხვავდება ინგლისის რიგითი ადამიანების განწყობილებისაგან, რომლებიც გულწრფელად უსურვებენ წარმატებას ამ თათბირს და უკავშირებენ მას საერთაშორისო დაძაბულობის შემდგომი შენელების იმედებს. „დეილი მეილი“ და სხვა მემარჯვენე გაზეთები კვლავ გამოდიან პესიმისტური „წინასწარმეტყველებით“, მყვირალა ფორმით აგვიწერენ რა უთანხმოებას თათბირის მონაწილეთა შორის და გვერდს უვლიან შეთანხმების მიღწევის არსებულ რეალურ შესაძლებლობებს, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნას, თუ თვითეული მხარე გამოიჩენს ამისადმი მისწრაფებას და კეთილ ნებას.

ზოგიერთი მიმომხილველი, რომელიც აშკარად არ არის დაინტერესებული მოლაპარაკების ასეთი შედეგით, არ მალავს თავის შეშფოთებას იმის გამო, რომ თათბირის მონაწილეთა პოზიციები ერთმანეთს დაუახლოვდა მთელ რიგ პუნქტებში. დამახასიათებელია მათი კომენტარები საბჭოთა წინადადებისა, რომელიც უარყოფდა ინგლისის პრემიერ-მინისტრის იდენის ცნობილ წინადადებას ევროპაში შეიარაღების შეზღუდვისა და ინსპექციის განსაკუთრებული ზონის შექმნის შესახებ. გაზეთების „ტაიმსისა“ და „დეილი ტელეგრაფ ენდ მორნინგ პოსტის“ კომენტატორები ისწრაფვიან საეჭვოდ მიიჩნიონ იმ წინადადების მიზანშეწონილობა, რომელიც ინგლისის პრემიერ-მინისტრმა შეიტანა ოთხი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურების თათბირზე და რომელმაც გამოიხატულება ჰპოვა მთავრობათა მეთაურების დირექტივებში საგარეო საქმეთა მინისტრებისადმი. „დეილი ტელეგრაფ ენდ მორნინგ პოსტის“ მიმომხილველი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ იდენის გეგმას „სუსტი მხარეები“ აქვს, და დასძენს: „მომავალი გვიჩვენებს, ხომ არ უარყოფს დასავლეთი იდენის გეგმას. იგი არასოდეს არ იწვევდა დიდ ენთუზიაზმს დასავლეთის დელეგაციებში“.

მაგრამ მიმომხილველთა ნაწილი აღიარებს, რომ წინადადებანი, რომლებიც საბჭოთა მხარემ შეიტანა, მიზნად ისახავენ გაუადვილონ თათბირის მონაწილეებს შეთანხმების მიღწევა. ვაზეთი „მანჩესტერ გარდიანი“, ანალიზს უკეთებს რა საბჭოთა წინადადებას, რომელშიც გათვალისწინებულია იდენის მოსაზრებანი, იმ დასკვნამდე მიდის, რომ იგი „დიდი წინგადადგმული ნაბიჯია“.

საფრანგეთის ეროვნულ კრებაში

პარიზი, 3 ნოემბერი. (საკდესი). საფრანგეთის ეროვნული კრების სხდომა, რომელიც მიეძღვნა ედგარ ფორის მთავრობისადმი ნდობის საკითხის კენჭისყრას, მთელ დღეს გრძელდებოდა. როგორც ცნობილია, ფორმა დასვა ნდობის საკითხი და მოითხოვა, რომ უთუოდ მოეწონებინათ მთავრობის კანონპროექტი ახლანდელი შემადგენლობის ეროვნული კრების რწმუნებათა 1956 წლის 2 იანვარს შეწყვეტის შესახებ, ნაცვლად 1956 წლის 17 ივნისისა. ამ კანონპროექტით ნავარაუდევია ვადამდე მოწყოს არჩევნები, რომელიც დაახლოებით დასახულია მომდინარე წლის 11 დეკემბრისათვის. ნდობის საკითხი დასმული იყო იმასთან დაკავშირებით, რომ ეროვნულ კრებაში ხანგრძლივმა უშედეგო დისკუსიამ საარჩევნო სისტემის რეფორმის შესახებ ფაქტიურად საფრთხე შეუქმნა მთავრობის კანონპროექტს ვადამდე არჩევნების შესახებ. ედგარ ფორმა კანონპროექტიდან ამოიღო მუხლი არჩევნების სისტემის შესახებ და მოითხოვა დიფლომატიებინათ ერთადერთი მუხლი ეროვნული კრების რწმუნებათა ვადამდე შეწყვეტის შესახებ.

ღამის სხდომაზე გამოვიდა 18 დეპუტატი, რომლებმაც ჩამოაყალიბეს თავიანთი პოზიციები კენჭისყრასთან დაკავშირებით. ამ დისკუსიის ცენტრში ფაქტიურად იდგა საკითხი, ვადამდე მოხდეს თუ არა პარლამენტის არჩევნები. იმ დეპუტატთა რიცხვში, რომლებმაც გამოთქვეს თავიანთი უთანხმოება დეკემბერში პარლამენტის არჩევნების მოწყობაზე (ე. ი. რომლებმაც აზრი გამოთქვეს მთავრობისათვის ნდობის გამოცხადების წინააღმდეგ), იყვნენ, კერძოდ, რადიკალებისა და რადიკალ-სოციალისტების, პარტიის დეპუტატები დალადიე და მენდეს-ფრანსი. ბევრმა მემარჯვენე დეპუტატმა, რომლებიც ვადამდე არჩევნების წინააღმდეგ იყვნენ, მოითხოვა, რომ წინასწარ დაიმტკიცებინათ მცირე საარჩევნო ოლქებში ორტურად კენჭისყრის მათთვის სასარგებლო მაჟორიტარული სისტემა.

კენჭისყრის მოტივებზე სიტყვა წარმოთქვა ავრეთვე კომუნისტური პარტიის საპარლამენტო ჯგუფის თავმჯდომარემ ჟაკ დიუ�ელმ, რომელმაც განაცხადა, რომ კომუნისტები არ იწონებენ მთავრობის პოლიტიკას არც საშინაო და არც საგარეო საკითხებში და, კერძოდ, ჩრდილოეთ აფრიკის მიმართ. მაგრამ, მიიჩნიათ რა საჭიროდ სახალხო კენჭისყრის მოწყობა, კომუნისტები მხარს უჭერენ მთავრობის კანონპროექტს ვადამდე არჩევნების შესახებ და ამიტომ გადაწყვიტეს ამ შემთხვევაში ხმა მისცენ მთავრობისათვის ნდობის გამოცხადებას.

ედგარ ფორის მოკლე სიტყვის შემდეგ დაიწყო სახელობითი კენჭისყრა. მთავრობისათვის ნდობის გამოცხადებას ხმა მისცა 330 დეპუტატმა, წინააღმდეგ — 211 დეპუტატმა.

მთავრობისათვის ნდობის გამოცხადებას ხმა მისცეს კომუნისტებმა, „სახალხო-რესპუბლიკური მოძრაობის“ პარტიის (მრპ) წევრებმა, რადიკალთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა, „დამოუკიდებელ რესპუბლიკელთა“, „გლეხთა დამოუკიდებელი პარტიის“, „რესპუბლიკური და სოციალური მოქმედების დამოუკიდებელი ჯგუფის“ წევრთა უმრავლესობამ და პარლამენტის სხვა დაჯგუფებათა წარმომადგენლებმა. წინააღმდეგ მისცეს ხმა სოციალისტებმა, „სოციალურ რესპუბლიკელთა“, „წინააღმდეგობის დემოკრატიული და სოციალისტური კავშირის“ უმრავლესობამ, რადიკალთა დიდმა ჯგუფმა და სხვა მემარჯვენე ჯგუფების ზოგიერთმა დეპუტატმა.

კენჭისყრის შედეგად მთავრობის კანონპროექტი ეროვნული კრების რწმუნებათა ვადამდე შეწყვეტის შესახებ მიღებულად ითვლება პირველი წაკითხვით. ახლა იგი უნდა დამტკიცოს პარლამენტის მეორე პალატამ — რესპუბლიკის საბჭომ.

ახალი რეკორდები ძალოსნოგაში

საქართველოს პირად-გუნდური პირველობის გათამაშება ძალოსნობაში ერთ-ერთი მასობრივი და საინტერესო შეჯიბრება იყო. რუსთავის მეტალურგთა კულტურის სახლში პირველობას ერთმანეთს ეცილებოდა თბილისის, აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთის, ქუთაისის, რუსთავისა და თელავის 80-მდე შტანგისტი.

განვლილმა შეხვედრებმა ცხადყო ჩვენი რესპუბლიკის ძალოსანთა წარმატება, დამყარებულია ახალი რეკორდები.

საქართველოს ჩემპიონები გახდნენ: მჩატე წონაში რ. დათიაშვილი, რომელმაც სამჭიდში (აჭიმვა, ატაცი, აკვრა) აჩვენა 290 კილოგრამი, ქვემსუბუქ წონაში — მ. ხანუკაშვილი (332,5 კილოგრამი), მსუბუქ წონაში — ა. ფარაჯიანი (337,5 კილოგრამი), ქვესაშუალო წონაში შ. წერეთელი (352,5 კილოგრამი), საშუალო წონაში — ი. შავცი (370 კილოგრამი), ქვემძიმე წონაში — კ. ებრალიძე (405 კილოგრამი), მძიმე წონაში — ი. ქართველიშვილი (412,5 კილოგრამი).

კ. ებრალიძემ და ი. ქართველიშვილმა დაამყარეს საქართველოს 7 ახალი რეკორდი. კ. ებრალიძემ რეკორდები დაამყარა ატაცში, აკვრაში და სამჭიდში, ი. ქართველიშვილმა — აჭიმვაში, ატაცში, აკვრასა და სამჭიდში.

გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვა თბილისის ძალოსანთა კოლექტივმა. მეორე ადგილი დაიკავა ქუთაისის გუნდმა, მესამე — აფხაზეთის გუნდმა.

• • •

სურათზე: საქართველოს 1955 წლის ჩემპიონები ძალოსნობაში: ზედა რიგში (მარცხნიდან) რ. დათიაშვილი, მ. ხანუკაშვილი, ა. ფარაჯიანი და შ. წერეთელი; ქვედა რიგში — ი. შავცი, კ. ებრალიძე და ი. ქართველიშვილი.

საქართველოს ჩემპიონები აკრობატიკაში

რესპუბლიკური პირად-გუნდური პირველობის გათამაშება აკრობატიკაში თბილისსა და ბათუმის სპორტსმენთა შორის მიმდინარეობდა.

ორი დღის ასპარეზობის შემდეგ გუნდური ადგილები ასე განაწილდა: საქართველოს ჩემპიონი გახდა თბილისის მეორე გუნდი. მეორე საპრიზო ადგილი დაიკავა თბილისის აკრობატთა პირველმა კოლექტივმა, მესამე — ბათუმის გუნდმა.

საინტერესოდ მიმდინარეობდა პირადი პირველობის გათამაშება. აკრობატებმა ცხადყვეს კარგი მომზადება, მნიშვნელოვანმა ნაწილმა სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულა.

ჯგუფურ ვარჯიშში საქართველოს ჩემპიონის წოდება მოიპოვა თბილისის ოთხეულმა ა. მჭედლიშვილის, გ. დევდარიანის, შ. ძამაშვილისა და ვ. ნატროშვილის შემადგენლობით. შერეულ წყვილთა შორის გაიმარჯვეს გ. გარსევანიშვილმა და ნ. ლიკარდის, ხტომით ვარჯიშებში ვაჟთა შორის — ა. ბაზიკიანმა, ქალთა შორის — ნ. დონდუამ, ვაჟთა წყვილებს შორის — ს. ბაკურიეიკმ და ვ. კულეშმა.

გამარჯვებულ გუნდსა და სპორტსმენებს საზეიმოდ გადაეცათ გარდამავალი ჯილდო, რესპუბლიკური კომიტეტის დიპლომები და ფასიანი საჩუქრები.

დაიწყო საღღესასწაულო ვაჭრობა

დაიწყო საღღესასწაულო ვაჭრობა. რესპუბლიკის სავაჭრო ორგანიზაციებს თავიანთ მაღაზიებში დამატებით უკვე გამოქვთ ფართო ასორტიმენტის სამრეწველო და სასურსათო საქონელი.

საღღესასწაულისწინა და საღღესასწაულის საღამოებში მარტო თბილისში სავაჭრო ორგანიზაციები გამოტანენ 160 ტონა ხორცს, ამდენსავე ძეხვეულს, ას ტონაზე მეტ კარაქს, 600 ტონამდე შაქარს, 200 ტონა ფართო ასორტიმენტის საკონდიტრო ნაწარმს საღღესასწაულო გაფორმებით, ათეულ ტონობით თევზეულს, დიდძალ ბოსტნეულსა და სხვადასხვა სახის კონსერვებს, გარდა ამისა ჯემს, ხილფაფას, მურაბას და სხვ.

რესპუბლიკის სამრეწველო საქონლის მაღაზიები ამ დღეებში მიიღებენ ათეულ მილიონობით მანეთის სამრეწველო საქონელს, მათ შორის 7.600.000 მანეთის შეკერილ ტანსაცმელს, 10 მილიონი მანეთის ტრიკოტაჟსა და წინდებს, 5 მილიონამდე მანეთის ბამბის ქსოვილებს, 2.800.000 მანეთის შალისა და 2 მილიონი მანეთის აბრეშუმის ქსოვილებს, ფეხსაცმელს და სხვ.

ბრძანებანი

თბილისის გარნიზონის გარნიზონული სასამართლოდან

1955 წლის 5 ნოემბერი

№ 33

ქალაქი თბილისი

თბილისის გარნიზონის ჯარების 1955 წლის 7 ნოემბრის პარადის შესახებ

§ 1.

1955 წლის 7 ნოემბერს, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 38-ე წლისთავის დღეს, რუსთაველის პროსპექტზე ინიშნება თბილისის გარნიზონის ჯარების პარადი.

§ 2.

პარადს მიიღებს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი, არმიის გენერალი **ი. ი. ფედიუნინსკი.**

§ 3.

პარადის სარდლობა ნაბრძანები მაქვს მე.

§ 4.

პარადი დაიწყება დილის 9.00 საათზე მოსკოვის დროით.

§ 5.

პარადზე გამოყვანილ იქნან სამხედრო სასწავლებლები და ჯარის ნაწილები განსაკუთრებული გეგმით.

§ 6.

ტანსაცმლის ფორმა საზაფხულო, **საპარადოა.**

§ 7.

რუსთაველის პროსპექტზე ჯარების დაწყობა დამთავრდეს 8 საათსა და 30 წუთზე.

§ 8.

თბილისის გარნიზონის კომენდანტმა გვარდიის პოდპოლკოვნიკმა **ი. ტ. მაკუშევმა** მოახდინოს საარტილერიო სალუტი ჩემ მიერ მიცემულ მითითებათა თანახმად.

§ 9.

ჯარების დაწყობისა და გავლის დროს რუსთაველის პროსპექტსა და ლენინის სახელობის მოედანზე წესრიგის დაცვის საერთო ხელმძღვანელობას ვაკისრებ გარნიზონის კომენდანტს გვარდიის პოდპოლკოვნიკ **ი. ტ. მაკუშევს.**

თბილისის გარნიზონის უფროსი
გენერალ-მაიორი გლადკოვი.

7 და 8 ნოემბერს ქალაქის სამგზავრო ტრანსპორტის მუშაობის შესახებ

თბილისში 7 ნოემბერს ტრამვაი იმუშავებს დილის 5 საათიდან დილის 7 საათსა და 30 წუთამდე (მარშრუტი №№ 3, 4, 10, 11 და 11-ა დილის 8 საათსა და 30 წუთამდე) და ძუშაობას განაახლებს დილის 12 საათზე, ხოლო №№ 1, 2, 5 და 10 მარშრუტებისა, რომლებიც მუშაობას განაახლებენ დემონსტრაციის დამთავრების შემდეგ.

ტროლეიბუსები იმუშავებენ დილის 5 საათიდან, ხოლო ავტობუსი — დილის 6 საათიდან დილის 7 საათსა და 30 წუთამდე და მუშაობას განაახლებს მშრომელთა დემონსტრაციის დამთავრების შემდეგ.

ტრამვაი, ტროლეიბუსები და ავტობუსები მუშაობას დამთავრებენ ღამის 2 საათზე.

8 ნოემბერს ქალაქის სამგზავრო ტრანსპორტი (ტრამვაი, ტროლეიბუსები, ავტობუსები) იმუშავებს ჩვეულებრივი განრიგით.

მსუბუქი ტაქსები 7 და 8 ნოემბერს იმუშავებენ მთელი დღეღამის განმავლობაში.

რედაქტორი ბ. ფირცხალავა.

ნორჩ ტექნიკოსთა ნამუშევრები



თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა პარკი ზრდილ მნახველს იზიდავს. აქ ამ დღეებში გაიხსნა მე-6 რესპუბლიკური გამოფენა „ნორჩ ტექნიკოსთა დახმარება სკოლას“. გამოფენაზე საკონკურსოდ წარმოდგენილია 1.500-ზე მეტი ექსპონატი, ნორჩ ტექნიკოსთა ნამუშევარი.

კონკურსში მონაწილეობას იღებენ ჩვენი რესპუბლიკის რაიონებისა და ქალაქების საშუალო და რვაწლიანი სკოლები, პიონერთა სახლები, მხატვრული აღზრდისა და კულტურის სახლები, ნორჩ ტექნიკოსთა საქალაქო სადგურები.

ათვალიერებთ ნორჩ ტექნიკოსთა ნამუშევრებს და გული სიხარულით გევსებათ. თვითეული ექსპონატი მისი შემსრულებლის ნიჭსა და შემოქმედებითს უნარზე მეტყველებს. მხატველი განცვიფრებაში მოჰყავს 1-ლ განყოფილებაში გამოფენილ მასალებს. აქ სკოლებში პოლიტექნიკურ სწავლებასთან დაკავშირებით მდიდარი ექსპონატებია წარმოდგენილი ფიზიკის კურსიდან მექანიკის, სითბოს, ელექტრობის, სინათლისა და რადიოს დარგების მიხედვით.

რა დიდი ენერგია და შრომა დაუხარჯავთ ნორჩ ტექნიკოსებს ფიზიკის მთელი რიგი კანონების სადემონსტრაციო ხელსაწყოებისა და მოდელების შესაქმნელად, რა დიდი პასუხისმგებლობით მოჰკიდებიან ისინი დაკისრებულ საშუშაოებს! ენერგიული მუშაობის შედეგია სამტრედიის რაიონის სოფელ ღანირის საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლის ჯ. მეგრელიშვილის მიერ შესრულებული ამპერმეტრისა და ვოლტმეტრის წრედში ჩართვის სქემები.

თუ არა დიდი დაკვირვება, საგნის ღრმა ცოდნა, მონდომება და შემოქმედებითი ნიჭი, ვერ მოისმენდით თბილისის 43-ე საშუალო სკოლის მეტრეკლასელის ლ. ოსკანოვის მიერ გაკეთებული ელექტროპატეფონისა და თბილისის მე-20 საშუალო სკოლის მეათეკლასელის ი. მინაგის მიერ დამზადებული ელექტრული მანდოლინის ხმას. უამისოდ ვერც თბილისის 62-ე საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლის რ. ალიევას ჯიბის რადიომიღების ექსპონატს ნახავდით, ვერ დატკბებოდით სამტრედიის 1-ლი საშუალო სკოლის მეათეკლასელების ა. თევზაძისა და ჯ. სვანაძის მიერ შექმნილი „ჯადოქარი მაგიდის“ მოქმედებით.

ცოდნასმოწყურებული გოგონას მიერ არის შექმნილი ელექტროშემდუღებელი აპარატის მაკეტი (ავტორი ტყვარჩელის მე-4 საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე ეკატერინე ხანინა). დიდი შრომისა და ნიჭის გამოვლინებას მოწმობს რადიოლას, ტელეგრაფისა და მაგნეტოფონის მოქმედი მოდელებისა და „ავტომატური სასმელის“ შექმნა, რომლებიც ამ განყოფილებაშია გამოფენილი.

ნახულობთ მეორე განყოფილებას და თვალს ვერ აშორებთ გემების, თვითმფრინავების, ორთქლმავლების, ვაგონების შესანიშნავ მოდელებს, განცვიფრებული ჩერდებით სოხუმის მე-2 საშუალო სკოლის მეტრეკლასელის ზ. ბადათელიას მიერ გაკეთებულ სამგზავრო გემის მოდელთან. გულს გიბარებთ პატარა მშენებლების ნამუშევრები. აი ეს ფოთის მაცივრის მოდელია, რომელიც შექმნილია ფოთის მეორე საშუალო სკოლის უფროსი კლასების მოსწავლეთა მიერ. მოწონებას იმსახურებს ფოთის მეორე საშუალო სკოლის მეათეკლასელის დ. წურწუმიას ნამუშევარი — ელექტროწისქვილის მოდელი.

მართალია, ზოგიერთ ექსპონატს ეტყობა, რომ იგი ნაკეთებია ნიჭიერი ახალგაზრდის გამოუცდელი ხელით, მაგრამ მის შემსრულებელს მისი შექმნისას იმდენი სიფაქიზე და შრომის სიყვარული გამოუჩენია, რომ ძალაუნებურად კმაყოფილების გრძნობა გეუფლებათ ამ პატარა შემოქმედისადმი. აი თუნდაც თბილისის მე-60 საშუალო სკოლის მეოთხე კლასის მოსწავლის მ. ილაშვილის ნაკარგი „ლენინის პორტრეტი“. ეს ხომ პატარა გოგონას ხელებმა შექმნა, ვინ იცის მან შიგ რამდენი სითბო და სიყვარული ჩააქსოვა! ასევე გიზიდავთ ქარგვით შესრულებული მაიაკოვსკის პორტრეტი, „სოცოცხლე მკვიდრდება სმოგორში“ და სხვ. გიხიბლავთ ჩუქურთმები ხეზე და თაბაშირზე, ბარელიეფი „ტეინისთავი“ (თაბაშირი) და სხვ.

მესამე განყოფილება საინტერესოა გეოგრაფიის, ქიმიის, ბუნებისმეტყველებისა და მათემატიკის დარგებიდან წარმოდგენილი მასალებით. ყურადღებას იპყრობს აზოტმყავის მასალები ქარხნის მაკეტი, შესრულებული თბილისის მე-20 საშუალო სკოლის მეათეკლასელის ვ. ივანოვის მიერ, სათბურის მაკეტი და ბრძმედის მოდელი, რომელიც გაკეთებულია ქობულეთის რაიონის სოფელ ჩაქვის ქართული საშუალო სკოლის მეთერთმეტეკლასელების ჯ. ქორჩილავასა და რ. ბასილაის მიერ. დიდი ინტერესით ითვალიერებთ მარილმყავის და გოგირდწყალბადის მისაღებ ხელსაწყოს, რომელიც შექმნილია მახარაძის რუსული საშუალო სკოლის მეთერთმეტე კლასის მოსწავლის ლ. ხარებავას მიერ, კონტაქტური ხერხით გოგირდმჟავას მისაღებ ხელსაწყოს და სხვ.

სამწუხაროდ, მთელი რიგი სკოლები არ იღებენ მონაწილეობას კონკურსში. აქ ვერ ნახავთ კასპის, ახალციხის, სიღნაღისა და სხვა რაიონების მოსწავლე ახალგაზრდობის ნამუშევრებს.

გამოფენაზე წარმოდგენილი ექსპონატების სიუხვე და სიმდიდრე მოწმობს იმ ზრუნვას, რასაც მშობლიური კომუნისტური პარტია იჩენს მოსწავლე ახალგაზრდობისადმი.

ლ. ძეძამიძე.

• • •

სურათზე: გამოფენის ერთ-ერთი კუთხე.
ფოტო შ. ჩხეტიანისა.

საქართველოს შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი აცხადებს, რომ ინსტიტუტის დაუსწრებელი სწავლების ფაკულტეტზე 1955-56 სასწავლო წლისათვის მიღება იწარმოებს შემდეგ სპეციალობებზე:

1. აგრონომიულ (მემინდვრეობის — კვალიფიკაცია — სწავლული აგრონომი),
2. მებაღეობა-მებოსტნეობის და მევენახეობის (კვალიფიკაცია — სწავლული აგრონომი),
3. მცენარეთა დაცვის (კვალიფიკაცია — სწავლული აგრონომი),
4. სატყეო-სამეურნეო (კვალიფიკაცია — ტყის მეურნეობის ინჟინერი),
5. სასოფლო-სამეურნეო წარმოების პროცესების მექანიზაციის (კვალიფიკაცია — ინჟინერ-მექანიკოსი),
6. სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის (კვალიფიკაცია — აგრონომი-ეკონომისტი).

მისაღებ გამოცდებზე დაიშვებიან სსრ კავშირის მოქალაქენი მიუხედავად ასაკისა, რომლებსაც დამთავრებული აქვთ სრული საშუალო სკოლა ან ჩაბარებული აქვთ საშუალო სკოლის სრული კურსი ექსტერნატის წესით.

უგამოცდოდ ჩაირიცხებიან მხოლოდ ის პირები, რომლებმაც საშუალო სკოლა დამთავრეს ოქროს მედლით.

ვერცხლის მედალოსნები და ტექნიკუმის კურსდამთავრებულნი, რომლებსაც აქვთ დიპლომი წარჩინებით, აბარებენ მისაღებ გამოცდას:

აგრონომიულ, მცენარეთა დაცვის, მებაღეობა-მებოსტნეობისა და მევენახეობის სპეციალობებზე — ფიზიკაში.

სატყეო მეურნეობის, სასოფლო-სამეურნეო წარმოების პროცესების მექანიზაციის და სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის სპეციალობებზე — მათემატიკაში; ყველა დანარჩენი მისაღებ გამოცდებს აბარებენ შემდეგ საგნებში:

აგრონომიულ, მებაღეობა-მებოსტნეობისა და მცენარეთა დაცვის სპეციალობებზე: ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა), რუსულ ენასა და ლიტერატურაში (წერა). ფიზიკასა და ქიმიაში.

სატყეო მეურნეობის და სასოფლო-სამეურნეო წარმოების პროცესების მექანიზაციის სპეციალობებზე დამატებით აბარებენ გამოცდას მათემატიკაში (ზეპირი); სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის სპეციალობაზე: ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა), რუსულ ენასა და ლიტერატურაში (წერა), მათემატიკაში (ზეპირი), გეოგრაფიაში და სსრ კავშირის ისტორიაში.

განცხადება შეტანილ უნდა იქნას დირექტორის სახელზე ა. წ. 10 დეკემბრამდე, სპეციალობის ზუსტი აღნიშვნით.

განცხადებას უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები: ა) ავტობიოგრაფია, ბ) საშუალო სასწავლებლის დამთავრების ატესტატი (დედანი), გ) ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, დ) სამი ფოტოსურათი (გადაღებული უქუდოდ) ზომით 3×4 სმ; ე) ცნობა სამუშაო ადგილიდან სოფლის მეურნეობის წარმოებაში მუშაობის შესახებ მუშაობის სტაჟის, თანამდებობისა და სპეციალობის აუცილებლად აღნიშვნით დაწესებულების ხელმძღვანელისა და კადრების განყოფილების უფროსის ხელმოწერით, დამოწმებული რაიონული აღმასრულებელი კომიტეტის მიერ; ვ) ცნობა ჯანმრთელობის შესახებ (ფორმა № 268).

შენიშვნა: 1941, 1942 და 1943 წლებში გაცემული ატესტატები რეგისტრირებული უნდა იყოს სათანადო რაიონის განათლების განყოფილებაში.

მისაღები გამოცდები იწარმოებს 10 დეკემბრიდან 25 დეკემბრამდე. კონსულტაციის მიღება შეიძლება ყოველდღე მიმღებ კომისიაში, გარდა კვირადღისა, დილის 10 საათიდან 2 საათამდე.

ინსტიტუტის მისამართი: თბილისი, უნივერსიტეტის ქუჩა № 35.

შენიშვნა: აკადემიური შეკრება (ლექციების კითხვა და ლაბორატორიული მუშაობა) როგორც ახლად ჩარიცხულთათვის, ისე სხვა კურსებზე ჩატარდება 1956 წლის 5 იანვრიდან 5 თებერვლამდე.

დღეს
თბილისის თეატრებში

ოპერისა და ბალეტის — ევგენი ონეგინი, **რუსთაველის სახელობის** — ხალისიანი მეგობრები, **მარჯანიშვილის სახელობის** — მაია წყნეთელი, **გრიბოედოვის სახელობის** — პორტარტური, ხომხური დრამის — საათენოვი, **მუსიკალური კომედიის** — სალბინობელი, **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — კომბლე (აბონემენტი № 24, 10 ს.), **თოჯინების ქართული** — ორი ქოსატუელა (10 ს.), ნატერის თვალი (2 ს.).

კინოთეატრებში

რუსთაველის სახელობის, ამირანი (საზამთრო და საზაფხულო), **ოქტომბერი, სპარტაკი, თბილისი, კოლხიდა** (საზამთრო), **26 კომისრის სახელობის** (საზამთრო), **ისანი** (საზამთრო), **პლეხანოვისა და ვოროშილოვის სახელობის კლუბები** — ახალი ნაპირისაკენ, **კოლხიდა** (საზაფხულო) — კრაზანა, **კომკავშირელი, კიროვის სახელობის პარკი** — ტერეზა რაკენი, **ისანი** (საზაფხულო) — პეტერი, **26 კომისრის** (საზაფხულო) — ეფრეიტორ კოჩეტკოვის შემოხვევა, **დიდუბე** (საზამთრო), **ოფიცერთა სახლი** — დაუმთავრებელი ამბავი, **კოლმეურნე** — ჯარისკაცი ივანე ბროვკინი, **გორკის სახელობის კულტურის სახლი** — მასკარადი, **კომუნარების ბაღი** — თეთრთოვლა.

მეუღლე ნიკოლოზ, შვილები ნინო, ბაჭრო, გივი ოჯახებით იუწყებიან
ბარბარე ილიას ასულ გვერდწითელი-ამილახვარის
გარდაცვალების. დაკრძალვა 6-XI, 3 ს. სოფელ გრაკალში (კასპის რაიონი).

შვილები თამარ, ალექსანდრა, მერი, ოთარ, დები სონია, ოლღა, ძმები გრიგოლ, ილია ოჯახებით იუწყებიან
ნადეჟდა ნესტორის ასულ დათეშიძის
გარდაცვალების. დაკრძალვა 8-XI სოფელ გორში (ამბროლაურის რაიონი).

რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. **ტელეფონები:** რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05 პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოსი — 3-06-88, **ტელეფონები განყოფილებებისა:** პარტიული ცხოვრების და მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-81-84, მრეწველობისა და ტრანსპორტის, პრესის მიმოხილვის — 3-16-90, სოფლის მეურნეობის — 3-20-43, კულტურისა და ყოფაცხოვრების, ლიტერატურისა და ხელოვნების—3-80-84, საბჭოთა მშენებლობის კორესპონდენტთა ჭელისა და პარტბიუროსი — 3-57-61, ადგილობრივი და